

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*13*“ *11* “ 2014 წელი

ეგზ. № 2

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო
სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახურის

2012-2013 წლების

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

ლ/38/00

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	5
დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები	5
სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულებები	6
პირობითი მოსაზრება	8
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	8
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	9
ტენდერების საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	9
შპს „ფერთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	14
შპს „პრიზმასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	18
სს „მონოლითმშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	19
შპს „ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	22
შპს „ორნამენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	24
ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება	25
სს „კორ სტანდარტ ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	27
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები	28
შპს „გრუსიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	31
ავტომანქანების ჩანაცვლება	33
სარეკლამო ვიდეორგოლების შესყიდვები	34
მთარგმნელობითი მომსახურებების შესყიდვები	35
შპს „ტრეიდ პროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	36
საგადასახადო შეთანხმებები	37
მივლინებები ქვეყნის გარეთ	39
წარმომადგენლობითი ხარჯები	41

შრომის ანაზღაურება-----42

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე-----43

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის (შემდგომში „შემოსავლების სამსახური“) ფინანსური აუდიტი რომელმაც მოიცვა ბალანსი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშები. აუდიტმა მოიცვა შემდეგი ანგარიშები: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტმა ასევე მოიცვა ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ. ჩატარდა ასევე შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2012 და 2013 წლები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი

განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემოსავლების სამსახურს ერიცხებოდა დებიტორული დავალიანება სულ 1,972.5 ათასი ლარის ოდენობით.

მათ შორის ანგარიშზე N1431 (მოთხოვნები წინასწარი გადახდებით) ასახულია დავალიანება 1,165.5 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებების ჯამს. მათ შორის დარიცხულია შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ დავალიანება 142.4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არასწორად არის ასახული აღნიშნულ ანგარიშზე, რადგან წარმოადგენს მომსახურების მიწოდებით (ფართების იჯარა) წარმოშობილ დავალიანებას და არა წინასწარი გადახდით წარმოშობილს. აღნიშნული დავალიანება ასახული უნდა იყოს ანგარიშზე N1355 (მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით)¹.

ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით) ირიცხება დავალიანება 360.2 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გასულ წლებშია წარმოშობილი (როდესაც რეგიონალური სამსახურები არსებობდა დამოუკიდებელი საბალანსო ერთეულების სახით). მათ შორის ცენტრალურ აპარატზე წარმოშობილი დავალიანება შეადგენს 129.8 ათას ლარს (წარმოდგენილი წერილების მიხედვით უმრავლეს შემთხვევებში აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები). ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ლიკვიდაციის შედეგად ბალანსზე გადმოცემული დანაკლისების ოდენობა შეადგენს 73.8 ათას ლარს (რომლის ჩამონათვალი და წარმოშობის მიზეზები უცნობია). რეგიონალურ სამსახურებში წარმოშობილი დავალიანებების ჯამი შეადგენს 156.5 ათას ლარს (პასუხისმგებელი პირების განმარტებით უმრავლეს შემთხვევებში ასევე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები). მათ შორის 58.7 ათასი ლარი წარმოადგენს ცხინვალის

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 26-ე პუნქტის მოთხოვნა.

რეგიონში საომარი მდგომარეობის დროს წარმოშობილ დანაკარგებს, ხოლო 37.7 ათასი ლარი აფხაზეთის რეგიონში წარმოშობილ დანაკარგებს.

ანგარიშზე N1480 (სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები) ირიცხება დავალიანება 422.6 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მომწოდებლებზე დარიცხულ პირგასამტეხლოებს. მათ შორის შპს „ახალშენს“ ირიცხება 387.4 ათასი ლარის დავალიანება, რასთან დაკავშირებითაც შემოსავლების სამსახურმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ახალშენს“ მოსარჩელის (შემოსავლების სამსახურის) სასარგებლოდ დაეკისრა 50.0 ათასი ლარის გადახდა. გადაწყვეტილება აღსრულებისთვის გადაეზავნა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა ამოღებული არ იყო. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ უნდა მომხდარიყო შპს „ახალშენის“ მიმართ დავალიანების კორექტირება, რაც არ გაკეთებულა (ნაცვლად 387.4 ათასი ლარისა აღრიცხული უნდა იყოს 50.0 ათასი ლარი).

გარდა ამისა ანგარიშზე N1480 ირიცხება ასევე სხვა მომწოდებლების პირგასამტეხლოებიც. კერძოდ, შპს „MSM Group“ – 21.1 ათასი ლარი, რომელთან დაკავშირებითაც ასევე არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. ასევე შპს „კოტას“ ირიცხება დავალიანება 10.4 ათასი ლარის ოდენობით. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღნიშნული თანხები გადახდილი არ არის.

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემოსავლების სამსახურს ერიცხებოდა კრედიტორული დავალიანება სულ 7,267.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის 4,807.3 ათასი ლარი წარმოადგენს 2005 წლამდე პერიოდის შრომის ანაზღაურების და მასთან დაკავშირებული საშემოსავლო და სოციალური გადასახადების დავალიანებას. დანარჩენი წარმოადგენს აქტივების და მომსახურების მოწოდებით, აგრეთვე ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილ მიმდინარე დავალიანებებს (დღგ, მოგების გადასახადი და მომწოდებლების მიერ ბიუჯეტში გადასახდელი პირგასამტეხლოები).

სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულებები

2012 წლის 3 იანვარს შემოსავლების სამსახურსა და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N1/4 სახელმწიფო შესყიდვაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების² ფარგლებში აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საგადასახადო ორგანოს დავალების საფუძველზე საგადასახადო კანონმდებლობით საგადასახადო ორგანოს კომპეტენციას მიკუთვნებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელება. მთლიანმა

² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის მიხედვით.

სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 2,004.0 ათასი ლარი (თვეში 167.0 ათასი ლარი). დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადახდილი იქნა 2,004.0 ათასი ლარი.

ანალოგიურად, 2013 წლის 3 იანვარს შემოსავლების სამსახურსა და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N1/13 სახელმწიფო შესყიდვაზე იმავე სახის მომსახურებაზე. მთლიანმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 1,899.6 ათასი ლარი (თვეში 158.3 ათასი ლარი). დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადახდილი იქნა 1,899.6 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით³ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული ბრძანებით⁴ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ზემოაღნიშნული სახის მომსახურების გაწევისთვის (გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება) მომსახურების საფასური დაწესებული არ არის. შესაბამისად გაუგებარია თუ რომელ სამართლებრივ აქტს ეფუძნება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საზღაურის ოდენობა. აღსანიშნავია ასევე, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ღირებულებების განსაზღვრისას მხარეების მიერ გათვალისწინებული არ არის გასაწევი მომსახურების მოცულობები და გათვალისწინებულია ყოველთვიური გადახდა, მიუხედავად იმისა თუ რა მოცულობის მომსახურებას გაწევდა თუ არ გაწევდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო (მაგალითად, 2013 წლის იანვრის თვეში შემოსავლების სამსახურის მიერ გადაგზავნილი იყო მხოლოდ 5 ბრძანება გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, მაშინ როცა ზოგიერთ სხვა თვეებში გადაგზავნილი ბრძანებების რაოდენობა ათასს აჭარბებდა). ღირებულებების განსაზღვრისას შედგენილი არ არის ასევე მომსახურების თვითღირებულების კალკულაცია. ამასთან ერთად გაწეული მომსახურებების ყოველთვიურ მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებულია და დადასტურებულია მხოლოდ შემოსავლების სამსახურის მიერ აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაგზავნილი ბრძანებების რაოდენობა (გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით). მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია ისე, რომ აქტების შედგენის თარიღისთვის შემოსავლების სამსახურში ცნობილი არ არის რეალურად განახორციელა თუ არა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მომსახურება (ყადაღის დადება). სსიპ შემოსავლების სამსახურის იძულებითი ღონისძიებების სამმართველოს 2014 წლის 14 მარტის N21-12/16506 წერილით მიღებული განმარტებით 2012-2013 წლებში გადაგზავნილ ბრძანებებთან დაკავშირებით აღსრულების ეროვნული ბიუროდან გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების აქტები ჯერჯერობით გადმოცემული არ არის.

³ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით.

⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N144 ბრძანება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ხელშეკრულებები გაფორმებულია და თანხები გადახდილია (აუდიტის პერიოდში სულ 3,903.6 ათასი ლარი) ფასის მიღებულ სარგებელთან შესაბამისობის გათვლის გარეშე.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გაწეული მომსახურება ხარჯად აღიარებულია დაუსაბუთებლად, რადგან მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია არა ყადაღის დადების აქტების გადმოცემის საფუძველზე, არამედ გადაგზავნილი ბრძანებების საფუძველზე. რის გამოც უცნობია გაწეულია თუ არა მომსახურება. შესაბამისად 2013 წლის ბალანსში (ფორმა N1) კაპიტალში ასახულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 106,965.5 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილია 3,903.6 ათასი ლარით შემცირებული თანხით. აღნიშნული ნაშთი არასწორად არის ასახული საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშზე (N5210), ნაცვლად გაუნაწილებელი მოგების ანგარიშისა (N5220).

იძულებითი ღონისძიებების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით იმ გადასახადის გადამხდელების საბიუჯეტო დავალიანებების ჯამი, რომელთა მიმართებითაც გამოიცა და არ გაუქმებულა ბრძანებები ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, შეადგენდა 851,309.7 ათას ლარს. აღნიშნული 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით წარმოადგენდა საგადასახადო შემოსავლების ნაწილში არსებულ რესურსს, რომელიც ზემოაღწერილი გარემოებების გამო შემოსავლების სამსახურის მიერ ეფექტურად ვერ იქნა გამოყენებული.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, აუდიტორული მოსაზრების საფუძველებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე არაარსებითი გავლენის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს შემოსავლების სამსახურის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის

საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

ტენდერების საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების შემოწმებით ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად (გაზრდილად) განსაზღვრის შემთხვევები, რის შედეგადაც ტენდერების თუ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვების განხორციელების დროს შემოსავლების სამსახურის საბიუჯეტო და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე მიმწოდებლებს მიღებული აქვთ არაგონივრულად დიდი მოგება. გარდა ამისა ხელშეკრულებებში ხშირ შემთხვევებში განხორციელებულია ისეთი სახის ცვლილებები, რომლებიც არსებითად ცვლის სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ პირობებს. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე დღეში შეცვლილია საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასები. ზოგიერთ შემთხვევაში კი შემცირებულია საქონლის ტექნიკური პარამეტრების სიდიდე ისე, რომ სახელშეკრულებო ღირებულება შემცირებული არ არის. ხშირ შემთხვევებში კი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებისთვის შექმნილია ხელოვნური ბარიერები და გამარჯვებულებად გამოცხადებულია ბევრად უფრო მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტები. აღნიშნული გარემოებების შედეგად ადგილი ჰქონდა ფულადი სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას. მაგალითად:

მაღალი ძაბვის ზეთიანი ტრანსფორმატორების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120008533 - შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 103.0 ათასი ლარი) გამარჯვების საფუძველზე 2012 წლის 23 აპრილს შპს „ელ ეს ჯი“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება N1/361 101.9 ათას ლარზე. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. ხელშეკრულების თანახმად კომპანიას მოსაწოდებელი 2 ტრანსფორმატორიდან ერთი უნდა მიეწოდებინა და დაემონტაჟებინა პორტალ სადახლოზე (60.3 ათას ლარად), ხოლო მეორე პორტალ წითელ ხიდზე (41.6 ათას ლარად). ტრანსფორმატორების შემომავალი ძაბვა განისაზღვრებოდა 10000 ვოლტით (გამომავალი ძაბვა - 400 ვოლტი; სიმძლავრე - 630 კვა). 2012 წლის 7 მაისის შეთანხმების

ოქმი N1-ის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად პორტალ წითელი ხიდისთვის მისაწოდებელი ტრანსფორმატორის ტექნიკური მონაცემი შეიცვალა და შემომავალი ძაბვის მაჩვენებელი განისაზღვრა 6000 ვოლტით ნაცვლად 10000 ვოლტისა (ისე, რომ სახელშეკრულებო ღირებულება არ შემცირებულა). შედეგად შეძენილია შემცირებული ტექნიკური პარამეტრების მქონე საქონელი იგივე ფასად.

გარდა ამისა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გაირკვა, რომ შპს „ელ ეს ჯი“ არ წარმოადგენდა აღნიშნული საქონლის არც მწარმოებელს და არც იმპორტიორს. მას არც სამონტაჟო სამუშაოები აქვს შესრულებული. აღნიშნული ტრანსფორმატორები შპს „ელ ეს ჯის“ შეძენილი აქვს ადგილობრივ ბაზარზე შპს „აღმოსავლეთის ელექტროტექნიკური კომპანიისგან“ და შპს „ნათელი ცხოვრებისგან“ თითოეული 20.0 ათას ლარად დღგ-ს ჩათვლით (სულ 40.0 ათას ლარად). სამონტაჟო სამუშაოები შესრულებული აქვს შპს „ელმონტაჟი-2011“-ს 27.7 ათას ლარად. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ტრანსფორმატორების შეძენა-მონტაჟის რეალურმა საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 67.7 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. გაუგებარია, თუ როგორ განისაზღვრა არაადექვატური შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რითაც ტენდერში გამარჯვების საშუალება მიეცა ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე შუამავალ კომპანიას, რის შედეგადაც შემოსავლების სამსახურის მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 34.2 ათასი ლარი.

2012 წლის 16 იანვარს შემოსავლების სამსახურმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120001745) საკუთარი სახსრებით სამფერიანი დიოდური განათების მონიტორების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 480.0 ათასი ლარით. ტენდერში გამარჯვების საფუძველზე აღნიშნული საქონლის მიწოდებაზე შემოსავლების სამსახურსა და შპს „ნეოტექს“ შორის 2012 წლის 5 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N1/214 ღირებულებით 475.2 ათასი ლარი. 2012 წლის 12 მარტის შეთანხმების ოქმი N1-ის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად საბოლოოდ განისაზღვრა 62 ერთეული მონიტორის, 31 ერთეული რევერსიული სამართავი პულტის და 4 ერთეული პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება-მონტაჟი. სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 447.0 ათას ლარამდე. მიღება-ჩაბარების აქტების და ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული იქნა 432.2 ათასი ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ტექნიკა, რომლის შესაბამისი თანხა ანაზღაურებული იქნა. გამოკლებული იქნა ყაზბეგის გამშვებ პუნქტზე ტექნიკის მონტაჟის და პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება 14.8 ათასი ლარი. ტექნიკა დამონტაჟებული ვერ იქნა ობიექტის მშენებლობის მიმდინარეობის გამო (დამონტაჟდა მოგვიანებით 2013 წლის 14 აგვისტოს N1/415 ხელშეკრულების საფუძველზე). როგორც იმპორტის დოკუმენტებით გაირკვა იმპორტირებული ტექნიკის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 167.1 ათასი ლარი⁵ (დღგ-ს გარეშე). გასაყიდი ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს დაახლოებით 331.9 ათას ლარს⁶. ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულია და შეადგენს დაახლოებით 164.8 ათას ლარს (98.6%).

ელექტრონულ ტენდერში (SPA110031073) გამარჯვების საფუძველზე შემოსავლების სამსახურსა და შპს „დიოს“ შორის 2012 წლის 16 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N1/54

⁵ საბაჟო დეკლარაციების C5948 17.03.2012, C37229 19.07.2012, და C41906 11.08.2012 (26 ერთეულზე გადაანგარიშებით) მიხედვით, დამატებული გეზ-ში სასაქონლო ოპერაციების განხორციელების საფასური.

⁶ (432.2-13.5*3მონტაჟის ფასი)/1.18

ასაწევი სექციური კარებების (26 ერთეული) მიწოდება-მონტაჟზე. მიწოდების ადგილს წარმოადგენდა გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ) თბილისი. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 298.0 ათასი ლარი. ხელშეკრულებას არ ახლავს სახელშეკრულებო ღირებულების კალკულაცია და გაურკვეველია თუ რამდენად შეაფასა მომწოდებელმა მონტაჟის ღირებულება (ადგილობრივი ტრანსპორტირების გათვალისწინებით). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა მხოლოდ საქონლის (იმპორტირებული კარებების) თვითღირებულებამ (შესყიდვის ფასის, ტრანსპორტირებისა და იმპორტის გადასახადის ჩათვლით) შეადგინა დაახლოებით 126.0 ათასი ლარი. პრაქტიკაში არსებული პროპორციის გათვალისწინებით (10%) მონტაჟის მაქსიმალური ღირებულება არ აღემატება 12.6 ათას ლარს. სულ თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 138.6 ათასი ლარი. გასაყიდი ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 252.5 ათას ლარს (298.0/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულია და შეადგენს დაახლოებით 113.9 ათას ლარს (82%). აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შპს „დიოს“ შესრულებული აქვს ორი დღის დაგვიანებით, რისთვისაც ეკუთვნოდა პირგასამტეხლოს გადახდა 2,979.96 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფს შედგენილი აქვს დასკვნა. მიუხედავად ამისა შპს „დიოს“ მიერ პირგასამტეხლო გადახდილი არ იყო. დავალიანება ბუღალტრულად არც მოთხოვნებში იყო აღრიცხული. აუდიტის ჯგუფის მითითებით 2014 წლის 28 აპრილს აღნიშნული თანხა გადახდილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში.

შემოსავლების სამსახურსა და შპს „დიოს“ შორის ელექტრონულ ტენდერში (SPA120002985) გამარჯვების საფუძველზე 2012 წლის 5 მარტს გაფორმდა ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულება N1/211 (ღირებულებით 32.5 ათასი ლარი) 5 ერთეული ასაწევი სექციური კარების ბათუმის გეზ-ში მიწოდება-მონტაჟზე. ზემოაღნიშნულის ანალოგიურად გაანგარიშებით სახელშეკრულებო თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 12.8 ათასი ლარი. გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე - 27.5 ათასი ლარი. ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულია და შეადგენს დაახლოებით 14.7 ათას ლარს (115%).

ხშირ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და მორგებული იყო კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებზე. შედეგად ტენდერებში მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, რითაც ავტომატურად გამოირიცხებოდა კონკურენცია და ფასის კლება. მაგალითად:

8 ერთეული მსუბუქი ავტომანქანისა და 2 ერთეული მაღალი გამავლობის ჯიპის ტიპის ავტომობილების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA120008684) სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით მსუბუქი ავტომანქანის შემთხვევაში ავტომობილის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე უნდა ყოფილიყო შესაბამისად - 4473/1740/1640 მმ, ძრავის მოცულობა - 1400 სმ³, 16 სარქველი, 4 ცილინდრი, საბურავის ზომა - 175/70R14, ფერი - თეთრი. ჯიპის ტიპის ავტომანქანის შემთხვევაში სიგრძე, სიგანე და სიმაღლე შესაბამისად 4410მმ/1820მმ/1685მმ, ძრავის მოცულობა - 2000 სმ³, 16 სარქველი, 4 ცილინდრი, საბურავის ზომა - 225/60R17, ფერი - თეთრი და ა.შ. გაუგებარია თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა ავტომანქანების ზომების მილიმეტრებში წინასწარ განსაზღვრა, ან სარქველების რაოდენობის, საბურავების ზომების თუ ფერის მითითება სატენდერო დოკუმენტაციაში. შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა

პრეტენდენტმა - „ჰიუნდაი საქართველომ“ რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2012 წლის 18 აპრილს გაფორმდა N1/334 ხელშეკრულება ღირებულებით 269.7 ათასი ლარი (შესყიდვის სავარაუდოდ ღირებულება შეადგენდა 274.0 ათას ლარს).

400 ერთეული სანაგვე ყუთის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA120012207) სატენდერო დოკუმენტაციაში საქონლის ტექნიკური მახასიათებლების აღწერისას გამოყენებულია ისეთი პარამეტრები როგორიცაა: მოცულობა (70 ლიტრი), ზომები (420x870მმ), მასალის შემადგენლობა (12მმ პერფორირებული ფოლადი თუთიის გარე საფარით), ფერი (RAL5002), საღებავი (პოლიეთერის ფხვნილის საღებავი) და სხვა. გაუგებარია რა აუცილებლობას წარმოადგენდა სანაგვე ყუთის მოცულობის და ზომების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა ან ფერის დაფიქსირება. შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ქლიარმა“, რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე იმავე წლის 28 მაისს გაფორმდა N1/461 ხელშეკრულება, სავარაუდოდ ღირებულების შესაბამის თანხაზე - 112.0 ათას ლარზე დღგ-ს გარეშე (ერთი ერთეული 280 ლარი დღგ-ს გარეშე). დღგ-ს ჩათვლით ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 132.2 ათასი ლარი (ერთი ერთეული 330.4 ლარი).

საოფისე ავეჯის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების (SPA120012188, SPA120019836 და SPA120022650) სატენდერო დოკუმენტაციაში მისაწოდებელი საქონლის პარამეტრები (ზომა, ფერი, კონსტრუქცია და სხვა) განსაზღვრული იყო შპს „ტეხო ჯორჯია ლიმიტედის“ მიერ იმპორტირებული საოფისე ავეჯის ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით. შესაბამისად ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერებში გამარჯვების საფუძველზე შპს „ტეხო ჯორჯია ლიმიტედთან“ გაფორმდა ხელშეკრულებები (N1/546 – 19.06.2012, N1/668 - 17.08.2012, N1/755 - 03.10.2012) რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 803.1 ათასი ლარი. ამასთან SPA120012188 ელექტრონულ ტენდერში 33.1 ათასი ლარით უფრო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი (შპს „ბ-ბ ჯგუფი-2009“) დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მისი სატენდერო წინადადება ვერ აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ ხელოვნურად შექმნილ პარამეტრებს. დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმის გამო, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნით ავეჯი დამზადებული უნდა ყოფილიყო ქარხნული წესით ერთი მწარმოებლის მიერ. შპს „ბ-ბ ჯგუფი-2009-ის“ მიერ შემოთავაზებული საოფისე ავეჯის შემადგენელი დეტალების შესყიდვა კი ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან და ადგილზე წარმოებდა მათი აწყობა. ზემოაღნიშნულმა მოთხოვნამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მიმართ არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

2012 წლის 2 ივლისს შემოსავლების სამსახურმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120018418) 7 ერთეული „რესეფშენის“ ოვალური მაგიდის შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდოდ ღირებულება განისაზღვრა 127.4 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „რემონტალმა“, რომელთანაც 2012 წლის 1 აგვისტოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვაზე N1/643 ღირებულებით 127.4 ათასი ლარი. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. 2012 წლის 17 აგვისტოს შეთანხმების ოქმის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით მაგიდების რაოდენობა შემცირდა 6 ერთეულამდე, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 109.2 ათასი ლარით დღგ-ს ჩათვლით (ერთეულის ფასი - 18.2 ათასი ლარი).

შემოსავლების სამსახურის მიერ ეტაპობრივად გადახდილია 108.4 ათასი ლარი (მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურები წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შედარებით 0.8 ათასი ლარით ნაკლებ თანხაზე). ანალოგიურად, ელექტრონულ ტენდერში (SPA120015628 - შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 72.8 ათასი ლარი) გამარჯვების საფუძველზე შემოსავლების სამსახურმა იმავე შპს „რემონტალთან“ 2012 წლის 11 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება N1/604 იგივე სახეობის საქონლის (4 ერთეული „რესეფშენის“ მაგიდა) შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 72.0 ათასი ლარით (რომელიც ეტაპობრივად გადახდილი იქნა).

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა შპს „რემონტალი“ არ წარმოადგენდა აღნიშნული საქონლის არც მწარმოებელს და არც იმპორტიორს. მას მაგიდები (ორივე ხელშეკრულებით მისაწოდებელი 10 ერთეული) შემენილი აქვს ი/მ „დავით ღვინცაძისგან“ 140.0 ათას ლარად დღგ-ს ჩათვლით. შპს „რემონტალს“ და ი/მ „დავით ღვინცაძეს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების (N27, 06.08.2012წ.) მიხედვით საქონლის მიწოდება შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა რეგიონალურ სტრუქტურებში უნდა განხორციელებინა ი/მ „დავით ღვინცაძეს“. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე გაურკვეველია, შემოსავლების სამსახურის მიერ როგორ იქნა განსაზღვრული ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები, რამაც საშუალება მისცა არამწარმოებელ კომპანიას გაემარჯვა ტენდერებში და ადგილობრივ ბაზარზე არააუცილებელი (არასაჭირო) შუამავლობის გზით 40.4 ათასი ლარით⁷ გაეზარდა რეალური საბაზრო ფასი, რის შედეგადაც შემოსავლების სამსახურის საკუთარი სახსრები არაეკონომიურად არის გახარჯული.

2012 წლის 4 აპრილს შემოსავლების სამსახურმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120010363) პორტალ სადახლოს ტერიტორიაზე 31 ერთეული ბილბორდის განთავსების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 68.0 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომელთა მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ექსპოგრაფი“ – 41.5 ათასი ლარი, შპს „კომბიტექი“ – 42.0 ათასი ლარი და შპს „რემონტალი“ – 67.3 ათასი ლარი. ყველაზე დაბალი ფასის მქონე შპს „ექსპოგრაფს“ ფასების ცხრილის კორექტირებისთვის მიეცა 2 დღის ვადა, მაშინ როცა შესაძლებელი იყო კანონმდებლობით დაშვებული 3 დღის ვადის მიცემა. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ფასების ცხრილის კორექტირების არ განხორციელებისთვის შპს „ექსპოგრაფი“ დისკვალიფიცირებული იქნა (თუმცა გაუგებარია რაში გამოიხატებოდა ფასების კორექტირება, როცა ერთი სახეობის საქონლის მიწოდებას ჰქონდა ადგილი). შემდეგი დაბალი ფასის მქონე შპს „კომბიტექს“ ფასების ცხრილის დაზუსტებისთვის მიეცა არაგონივრული ვადა (1 დღე) და დაევალა შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენა (აღნიშნული მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო გათვალისწინებული). სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „კომბიტექიც“ დისკვალიფიცირებული იქნა. შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „რემონტალი“, რომელთანაც 2012 წლის 24 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N1/454 ღირებულებით 67.3 ათასი ლარი. ვინაიდან ორმა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმოადგინა დაახლოებით ერთნაირი სატენდერო წინადადების ფასი, რომელიც მნიშვნელოვანი ოდენობით ნაკლები იყო გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასზე, სატენდერო კომისიას უფლება ჰქონდა შეეწყვიტა ტენდერი და გამოეცხადებინა ახალი

⁷ 108.4+72.0-140.0

ტენდერი (შემცირებული სავარაუდო ღირებულებით) იმ მოტივით, რომ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის (შპს „რემონტალის“) სატენდერო წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას⁸. შედეგად ზემოაღნიშნული შესყიდვის დროს არაეკონომიურად გახარჯულია 25.8 ათასი ლარი.

2013 წლის 13 ნოემბერს შემოსავლების სამსახურსა და შპს „ეკოფრეს“ შორის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA13023543) გამარჯვების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება N2/74 ღირებულებით 175.0 ათასი ლარი (დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ერთი კომპლექტი ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის მიწოდება და მონტაჟი (რომელიც მოიცავდა გარკვეულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებსაც) საბაჟო-გამშვები პუნქტი სარფის ტერიტორიაზე. ხელშეკრულების მიხედვით დანადგარის ღირებულება შეადგენდა 140.0 ათას ლარს, ხოლო მონტაჟის ღირებულება 35.0 ათას ლარს.

აღსანიშნავია, სატენდერო დოკუმენტაციაში არ იყო მითითებული სამონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის ვალდებულება. ხარჯთაღრიცხვა არ ახლავს არც ხელშეკრულებას და არც მიღება-ჩაბარების აქტს. შესაბამისად გაურკვეველია თუ რისგან შედგება სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება (35.0 ათასი ლარი) და რამდენად შეესაბამება რეალობას. შედეგად დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა⁹.

ზემოაღნიშნული სახის ხარვეზების გარკვევის მიზნით სხვა რამდენიმე რისკის შემცველ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით შემოსავლების სამსახურის მიერ მომწოდებლებისგან გამოთხოვილი იქნა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ, შპს „ქლიარისგან“ (ხელშეკრულება N1/461, 28.05.2012 ფარგლებში), შპს „იბერ-სისგან“ (N1/163, 21.02.2012 ხელშეკრულების ფარგლებში), შპს „გრინ პროექტისგან“ (N1/48, 13.01.2012 და N1/531, 14.06.2012 ხელშეკრულებების ფარგლებში) და შპს „პიკ კონსტრაქშენისგან“ (N1/598, 11.12.2013 ხელშეკრულების ფარგლებში). აღნიშნული კომპანიების მიერ დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. მიზანშეწონილი იქნება საკითხის შემდგომი შესწავლა შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

კორპორაციული ტანსაცმლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120011789) გამარჯვების საფუძველზე შემოსავლების სამსახურსა და შპს „მოდელების სახლი მატერიას“ შორის 2012 წლის 4 ივნისს გაფორმებული იქნა N1/485 ხელშეკრულება ღირებულებით 1,064.8 ათასი ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების გრაფიკის თანახმად ერთ-ერთი ეტაპის (80.7 ათასი ლარის ღირებულების მამაკაცისა და ქალის პულოვერის) მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2012 წლის 25 აგვისტომდე. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების (ელ 0026337173) და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით საქონელი

⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა.

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-6² პუნქტის მოთხოვნა.

მიწოდებული იქნა 27 აგვისტოს, ხელშეკრულების 14.1 პუნქტის შესაბამისად უნდა დარიცხულიყო პირგასამტეხლო 806 ლარის ოდენობით, რაც არ განხორციელებულა.

შპს „ფერთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N670 განკარგულებით შემოსავლების სამსახურს მიეცა უფლება პორტალ „ყაზბეგის“ (საბაჟო-გამშვები პუნქტის) სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 19 აპრილს შემოსავლების სამსახურსა და შპს „ფერს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N1/341 ღირებულებით 9,889.6 ათასი ლარი. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. 2013 წლის 12 სექტემბრის შეთანხმების ოქმი N6-ის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 9,817.6 ათასი ლარით. ხელშეკრულების საწყისი ვარიანტის მე-6 მუხლის 6.2 პუნქტის მიხედვით ყოველი ეტაპის დასრულებისას მიმწოდებელი ვალდებული იყო დაენიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებისა და მოცულობის შემოწმების მიზნით. 2012 წლის 16 ივლისის შეთანხმების ოქმი N1-ის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით აღნიშნული მოთხოვნა გაურკვეველი მიზეზით შეცვლილი იქნა და მიმწოდებელს დაევალა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა მხოლოდ სამუშაოთა მოცულობის შემოწმების მიზნით.

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ფერის“ მიერ შემოსავლების სამსახურში წარმოდგენილია აღნიშნული ობიექტის სამშენებლო სამუშაოების 14 ეტაპის შესრულებულ სამუშაოთა აქტები (ფორმა N2-ები), რომელთაგან დადასტურებულია და მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია მხოლოდ 12 ეტაპის სამუშაოების შესრულებაზე ღირებულებით ჯამურად 6,937.6 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტები დადასტურებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც შემოწმებულია მხოლოდ სამუშაოთა მოცულობები, ხოლო სამუშაოთა ერთეულების ღირებულებები განსაზღვრულია საპროექტო სავარაუდო ღირებულებების შესაბამისად (და არა ფაქტობრივი ღირებულებებიდან გამომდინარე). დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტების ღირებულების შესაბამისი თანხა (6,937.6 ათასი ლარი) შემოსავლების სამსახურის მიერ ანაზღაურებულია ეტაპობრივად (მეშვიდე-მერვე, ასევე მეთექვსმეტე ეტაპები წარმოდგენილი და ანაზღაურებულია გაერთიანებულად). შპს „ფერის“ მიერ წარმოდგენილი მე-13 და მე-14 ეტაპის შესრულებულ სამუშაოთა დაუდასტურებელი აქტების (ფორმა N2-ების) ღირებულება შეადგენს 2,811.6 ათას ლარს (ასევე საპროექტო სავარაუდო ღირებულებების შესაბამისად დათვლილი). სულ მომწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენს 9,749.2 ათას ლარს.

ექსპერტიზის დასკვნებში დადასტურებულია, რომ ფორმა N2-ებში მოცემული შესრულებული სამუშაოების ერთეულის ღირებულებები შეესაბამება საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში მოცემულ ერთეულის ღირებულებებს. ამასთან ერთად დაფიქსირებულია, რომ „ერთეული ღირებულებები ექსპერტიზის მიერ შესაძლებელია

გაკორექტირდეს შრომითი ხელშეკრულებების, ანგარიშ-ფაქტურების და საბაჟო დეკლარაციების წარმოდგენის შემთხვევაში. ფორმა N2-ის ღირებულება შეიძლება შეიცვალოს სატრანსპორტო მომსახურებისა და საიჯარო (ამწე, მანქანა-მექანიზმები, ხარაჩო) ხელშეკრულებების შესწავლის შემდეგ¹⁰. აქედან გამომდინარე ექსპერტიზის ზემოაღნიშნული დასკვნები არ წარმოადგენს შესრულებული სამუშაოების რეალური ღირებულების სრულყოფილ შეფასებას (რაც თვითონ დასკვნებშია აღიარებული). საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით¹⁰ გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, აგრეთვე ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება უნდა დაერიცხოს ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში, ხოლო დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯების და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე. ასევე დამონტაჟებული დანადგარების და მოწყობილობების თვითღირებულებაზე გეგმური მოგების დარიცხვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოება: სამშენებლო კომპანიის მიერ ეს დანადგარები და მოწყობილობები უშუალოდ მწარმოებლისგან არის შეძენილი, თუ საშუაშაველო კომპანიის საშუალებით.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით შემოსავლების სამსახურმა 2013 წლის 13 ნოემბრის N21-02/87680 წერილით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რათა წარმოედგინა ინფორმაცია შპს „ფერის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებებისა და მოცულობის შესახებ ფაქტობრივი ხარჯების გათვალისწინებით და იმ პირობით, რომ ერთეული სამუშაოების ღირებულება არ გასცდენოდა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ მონაცემებს (მათ შორის გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები). ბიურომ 2013 წლის 19 ნოემბრის N5004809413 წერილით აცნობა შემოსავლების სამსახურს, რომ ჩატარებული იქნა დამატებითი ექსპერტიზა ფაქტიური ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, მაგრამ შპს „ფერის“ მიერ დოკუმენტები წარდგენილი იქნა არასრულყოფილად. ხოლო წარდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა (ზემოაღნიშნული პირობებით) წარმოადგენდა ახალი ექსპერტიზის ჩატარების საგანს და მოითხოვა მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები. კერძოდ, ერთი დასკვნის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება შეადგენს 9,749.2 ათას ლარს, ხოლო მეორე დასკვნის¹¹ მიხედვით კი 9,250.0 ათას ლარს (რის გამოც შემოსავლების სამსახურის მიერ საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელებული არ არის). ორივე დასკვნების შესაბამისი

¹⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის მე-3 პუნქტის მიხედვით.

¹¹ მოიცავს ექსპერტიზის N005091113 და N005013713 დასკვნებს.

ფორმა N2-ების შემოწმების შედეგად გაჩნდა ეჭვი, რომ მშენებლობაში გამოყენებული სხვადასხვა მასალების ღირებულებები ფორმა N2-ებში ჩადებულია თვითღირებულებასთან შედარებით გაზრდილი ოდენობებით. გაანალიზებული იქნა თანხობრივად მნიშვნელოვანი ცალკეული პოზიციების მასალების ფასები და გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამოებები.

მაგალითად, ექსპერტიზის მეორე დასკვნის შესაბამისად წარმოდგენილი ფორმა N2-ების მიხედვით 1მ³ (B25) ბეტონის ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 173.6 ლარს, მაშინ როცა რეალური საბაზრო ფასი მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემული ცნობარების¹², ინტერნეტ საიტებისა და სხვადასხვა მომწოდებლებისგან მიღებული ინფორმაციების მიხედვით არ აღემატება 120.0 ლარს (დღგ-ს გარეშე). სხვაობა გამოყენებულ 2,387.92 მ³ ბეტონზე გაანგარიშებით შეადგენს 128.0 ათას ლარს. 1 ცალი სამშენებლო ბლოკის (20X20X40) ფასი ფორმა N2-ების მიხედვით დღგ-ს გარეშე შეადგენს 1.65 ლარს, მაშინ როცა რეალური საბაზრო ფასი დღგ-ს გარეშე არ აღემატება 1.0 ლარს. სხვაობა გამოყენებულ 20,815.0 ბლოკზე გაანგარიშებით შეადგენს 8.5 ათას ლარს. ტერიტორიის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე 1მ² ბეტონის ფასი ფორმა N2-ების მიხედვით დღგ-ს გარეშე შეადგენს 42.39 ლარს, მაშინ როცა რეალური საბაზრო ფასი დღგ-ს გარეშე არ აღემატება 30.0 ლარს (იმ გათვლით რომ 120.0 ლარის ღირებულების 1მ³ ბეტონი მოაწყოფს 0.25მ სისქის 4მ² საფარს). სხვაობა მოწყობილ 17000 მ² ბეტონის საფარზე გაანგარიშებით შეადგენს 210.6 ათას ლარს. სულ სხვაობების ჯამმა შეადგინა 347.1 ათასი ლარი. სატრანსპორტო ხარჯების (3%), ზედნადები ხარჯების (6%), გეგმური მოგების (6%) და დღგ-ს (18%) დარიცხვების გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 474.0 ათას ლარს.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე გაირკვა, რომ გათბობის, ვენტილაციის, კონდიციონერების და საქვების დემონტაჟი-მონტაჟის სამუშაოები შესრულებული აქვს ქვეკონტრაქტორ შპს „თბილსერვის გრუპს“. შპს „ფერისთვის“ წარდგენილი ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 351.5 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შპს „ფერის“ მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი ფორმა-2-ების მიხედვით (ექსპერტიზის მეორე დასკვნის შესაბამისად - ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა N1-7) დაფიქსირებულია 346.7 ათასი ლარის ოდენობით (დღგ-ს გარეშე), რომელზეც შესაბამისად დარიცხულია დღგ. კანონმდებლობის მიხედვით¹³ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით დღგ-ის გარეშე (ანუ ღირებულებაზე, რომელიც მოიცავს დღგ-ს, დარიცხვა არ შეიძლება განხორციელდეს). ასევე იმის გათვალისწინებით, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულება უნდა განისაზღვროს ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით (რომელზეც ხორციელდება დარიცხვები), შპს „თბილსერვის გრუპის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შპს „ფერის“ მიერ შემოსავლების სამსახურში წარდგენილ ფორმა N2-ში უნდა ასახულიყო 297.9 ათასი ლარის ოდენობით (351.5/1.18). სხვაობა შეადგენს 48.8 ათას ლარს. დღგ-ს გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 57.5 ათას ლარს.

¹² „სამშენებლო რესურსების ფასები“ - მშენებლობის შემფასებელთა კავშირის გამოცემები (2012-2013 წლების I-IV კვარტლების დონეზე).

¹³ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტიზის მეორე დასკვნით შეფასებული მშენებლობის მთლიანი ღირებულება (9,250.0 ათასი ლარი) შესამცირებელია მინიმუმ 531.5 ათასი ლარით (474.0+57.5).

აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს ცალკეული პოზიციების მიხედვით დათვლილ მიახლოებით რიცხვს. სრულად შეფასებისთვის საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება ფაქტობრივი ხარჯვის დოკუმენტებზე დაყრდნობით ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით (რის შესაძლებლობასაც მოკლებულია აუდიტის ჯგუფი¹⁴). ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მასალების შესყიდვის დოკუმენტებში ჩადებული ტრანსპორტირების ფასები ფაქტობრივ ხარჯებში არ უნდა იქნას ჩათვლილი, რადგან ტრანსპორტირების ხარჯები დანარიცხის სახით არის ჩადებული ფორმა N2-ებში.

შპს „პრიზმასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ელექტრონულ ტენდერში (SPA110031815) გამარჯვების საფუძველზე შემოსავლების სამსახურსა და შპს „პრიზმა“ შორის 2012 წლის 28 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N1/186 ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ. N2-ში მდებარე შენობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 2,000.0 ათასი ლარით. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მასალების ტრანსპორტირების ხარჯი გათვალისწინებული იყო მასალების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რაც შეესაბამებოდა პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის პირობებს. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული 2012 წლის 18 მაისის N1 შეთანხმების ოქმის საფუძველზე შეიცვალა სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვა და მასალების ტრანსპორტირების ხარჯი გაიზარდა მასალების ღირებულების 3%-მდე. აღნიშნული ცვლილება ეწინააღმდეგება შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის¹⁵ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულება იდება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების პირობების შესაბამისად. აგრეთვე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილებით არ გაზრდილა სახელშეკრულებო ღირებულება, ამან გავლენა იქონია შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივ ღირებულებაზე. კერძოდ:

¹⁴ შემოსავლების სამსახურში შპს „ფერის“ მიერ დოკუმენტები წარმოდგენილია არასისტემატიზირებული სახით, რის შედეგადაც გაურკვეველი დარჩა ცალკეული მასალებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება.

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები (ფორმა N2-ები) წარმოდგენილი იქნა ეტაპობრივად, რომელთა მიხედვითაც დარიცხულმა სატრანსპორტო ხარჯებმა (3%-იანი განაკვეთით) შეადგინა ჯამურად 32.3 ათასი ლარი. ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული განაკვეთით (1%) დარიცხვის შემთხვევაში ხარჯები იქნებოდა 10.8 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 21.5 ათას ლარს (გაანგარიშება მოცემულია დანართში). ზედნადები ხარჯების (8%), გეგმური მოგების (5%) და დღგ-ს (18%) დარიცხვის გათვალისწინებით ზედმეტად გადახდილი თანხა შეადგენს 28.8 ათას ლარს. გარდა ამისა 2012 წლის ივლისის თვის შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტში (ფ. N2) გეგმური მოგების დარიცხვა განხორციელებულია პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების ჯამზე კონდიცირების დანადგარების და ლიფტების მოწყობილობის ღირებულების არასრულყოფილად გამოკლების გარეშე (დასარიცხი ბაზა გაზრდილია 32.2 ათასი ლარით). ხოლო აგვისტოს თვის მიღება-ჩაბარების აქტში დასარიცხ ბაზას გამოკლებული არ არის კონდიცირების დანადგარების ღირებულება (10.4 ათასი ლარი), რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას¹⁶. ზედმეტად დარიცხული თანხა შეადგენს 2.5 ათას ლარს¹⁷. წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე გაირკვა, რომ დაგებული რბილი იატაკის (სულ 2812.9მ²) მასალა შპს „პრიზმას“ შეძენილი აქვს შპს „ევროპიენ ბილდინგ მათერიალს ჯენერალისგან“ 1მ² - 29.66 ლარად დღგ-ს გარეშე. აღნიშნული მასალის ღირებულება ფორმა N2-ებში ჩადებულია 1მ² - 33.0 ლარად დღგ-ს გარეშე (3.34 ლარით მეტად). პირდაპირი ხარჯები (მათ შორის მასალების ღირებულება) თვითღირებულების შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად ფორმა N2-ებში ჩადებული უნდა იყოს თვითღირებულებით¹⁸. აქედან გამომდინარე ზედმეტად დარიცხული თანხა დანარიცხების გათვალისწინებით შეადგენს 12.9 ათას ლარს (2812.9*3.34*1.03*1.08*1.05*1.18). სულ ზედმეტად გადახდილი თანხა შეადგენს 44.2 ათას ლარს (28.8+2.5+12.9).

სს „მონოლითმშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ელექტრონულ ტენდერში (SPA120008210) გამარჯვების საფუძველზე შემოსავლების სამსახურსა და სს „მონოლითმშენს“ შორის პორტალ ნინოწმინდის ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 1 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N1/483 ღირებულებით 9,865.9 ათასი ლარი. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. ტენდერით გამოცხადებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 13,439.0 ათას ლარს, რომელიც განსაზღვრული იყო შპს „ბარნაბიშვილი გურგენიძე არქიტექტორების“ მიერ შედგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით. ტენდერის შედეგების მიხედვით მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „აზერტუნელის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 10,773.0 ათას ლარს.

2013 წლის 21 ივნისის შეთანხმების ოქმი N3-ის საფუძველზე ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა

¹⁶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

¹⁷ (32.2+10.4)*5%*1.18დღგ

¹⁸ СНиП IV-8-84, 1-ლი თავის 1.1 და 1.2 პუნქტების მიხედვით.

797.5 ათასი ლარით (8%-ით) და შეადგინა 10,663.4 ათასი ლარი. ღირებულების ზრდის საფუძველად მოტანილი იყო ხელშეკრულების მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული გარემოების არსებობისას ფასის ცვლილების შესაძლებლობას. კერძოდ, არგუმენტად მოტანილი იყო შემდეგი გარემოებები: 1. „პროექტირების დროს ტექნიკურმა დავალებამ რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება, რის გამოც დარჩენილი მცირე დროის მონაკვეთში დათვლილმა მოცულობებმა გამოიწვია ცდომილებები“. 2. „პროექტირების პერიოდი დაემთხვა ზამთრის პერიოდს, რა დროსაც შეუძლებელი იყო გეოლოგიური კვლევის ჩატარება, რის გამოც კონსტრუქციული ნაწილი (საძირკვლები) გაკეთდა კვლევის გარეშე პირობითად, რამაც გამოიწვია ცდომილება როგორც კონსტრუქციულ ნაწილში, ასევე მიწის სამუშაოების მოცულობაში“. სახელშეკრულებო ღირებულების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით დატკეპნილ გრუნტზე მოსამზადებელი შრის მოსაწყობად ბალასტის რაოდენობის თავდაპირველი 8158 მ³-დან 40920 მ³-მდე ზრდით. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეტაპობრივად გადახდილი იყო 6,841.7 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტებით (ფ. N2-ებით) აღიარებული იყო 6,494.7 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება (თუმცა წარმოდგენილი ფორმა N2-ების და ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით დაფიქსირებულია 96.6 ათასი ლარით მეტი, რომლის აღიარება და გადახდა ურთიერთშეთანხმებით ფორმა N2-ებში არსებული გარკვეული ცდომილებების გამო არ განხორციელებულა. ამასთან დაკავშირებით არც ანგარიშ-ფაქტურების კორექტირება არ არის გაკეთებული). შემსრულებელს ავანსის სახით ერიცხებოდა დებიტორული დავალიანება 347.0 ათასი ლარის ოდენობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ბარნაბიშვილი გურგენიძე არქიტექტორების“ 2013 წლის 12 ივლისის წერილის (რომელშიც პროექტირების დროს დროის ნაკლებობის მიზეზით აღიარებულია მათ მიერ გარკვეული სამუშაოების მოცულობების არასწორი დათვლა) და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2013 წლის 12 ივლისის N29349/07/13 დასკვნის საფუძველზე გადაწყდა, რომ ობიექტის დასამთავრებლად საჭირო იყო დამატებით კიდევ დაახლოებით 1,188.1 ათასი ლარი (მათ შორის მიწის სამუშაოებისთვის კიდევ დამატებით 14345 მ³ ბალასტის და 2420 მ³ ღორღის შრეების მოწყობა). ამასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურმა 2013 წლის 26 სექტემბრის N21-02/73186 წერილით მიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა შემსწავლელ სამთავრობო კომისიას. კომისიის რეკომენდაციით გადაწყდა, რომ ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულიყო ელექტრონული ტენდერის საშუალებით. ელექტრონულ ტენდერში (SPA130024374) გამარჯვების საფუძველზე შემოსავლების სამსახურსა და შპს „პიკ კონსტრაქშენს“ შორის 2013 წლის 11 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N1/598 ზემოაღნიშნულ ობიექტზე დამატებითი მიწის სამუშაოების შესრულების მიზნით. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 453.0 ათასი ლარით. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. 2014 წლის 1 მარტის მდგომარეობით გადახდილი იყო 362.9 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტები (ფ. N2-ები) გაფორმებული იყო გადახდილი თანხის შესაბამისად (362.9 ათას ლარზე).

რაც შეეხება უშუალოდ მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ებში) დაფიქსირებული მონაცემების რეალობასთან შესაბამისობას, შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი ფაქტები:

2012 წლის 19 ივნისის პირველი ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტის და მასზე თანდართული ფორმა N2-ის მიხედვით შესრულებულია მიწის სამუშაოები 766.2 ათასი ლარის ოდენობით (ყველა დანარიცხის გათვალისწინებით). ფორმა N2-ში დაფიქსირებული მონაცემების შემოწმებით გამოვლინდა, რომ სამუშაოების ერთეულების ღირებულებები არ შეესაბამება რეალობას და მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. კერძოდ, პოზიციაში „გრუნტის დამუშავება ექსკავატორით“ შრომის დანახარჯი 7000 მ³ გრუნტზე დაფიქსირებულია 7000 კაც/საათის ოდენობით, ხოლო კაც/საათის ღირებულება 14 ლარის ოდენობით. მანქანა-მექანიზმის (ექსკავატორის) ღირებულებად 1მ³ გრუნტზე ასევე დაფიქსირებულია 14 ლარი. აღნიშნული ფასების გამოყენებით ორივე პოზიციის მიხედვით დანარიცხების გარეშე ჯამური ღირებულება დაფიქსირებულია 196.0 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (СНП IV-2-82, კრებული N1, პარაგრაფი 1, ცხრილი 1-11, გრაფა VI)¹⁹ 1მ³ ტევადობის ჩამჩის მქონე (როგორც ფორმა N2-შია მითითებული) ექსკავატორით გრუნტის დამუშავებისას შრომის დანახარჯის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 16 კაც/საათს 1000მ³ გრუნტზე (სულ 7000 მ³-ზე 112 კაც/საათი), ხოლო მანქანა-მექანიზმების მაქსიმალური დანახარჯი შეადგენს 35.9 მანქანა/საათს 1000მ³ გრუნტზე (სულ 7000 მ³-ზე 251.3 მანქანა/საათი). კაც/საათისა და მანქანა-საათის მაქსიმალური საბაზრო ფასების გამოყენებით (შესაბამისად 7.81 ლარი/კაც-საათი და 54.5 ლარი/მანქანა-საათი) აღნიშნული სამუშაოების მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 14.6 ათას ლარს (112*7.81+251.3*54.5). სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 181.4 ათას ლარს (196.0-14.6).

პოზიციაში „გრუნტის დატკეპნა პნევმოსატკეპნით“ შრომის დანახარჯი 8752 მ² გრუნტზე დაფიქსირებულია 8752 კაც/საათის ოდენობით, ხოლო კაც/საათის ღირებულება 15 ლარის ოდენობით. დანარიცხების გარეშე ჯამური ღირებულება დაფიქსირებულია 131.3 ათასი ლარის ოდენობით. მოქმედი ნორმების (СНП IV-2-82, კრებული N1, პარაგრაფი 1, ცხრილი 1-118, გრაფა 11) მიხედვით 100 მ³ გრუნტის პნევმოსატკეპნით დატკეპნის მაქსიმალური შრომის დანახარჯი შეადგენს 13.4 კაც/საათს. 8752 მ²-ის დატკეპნისთვის საჭირო მაქსიმალური რაოდენობა იქნება 1172 კაც/საათი. კაც/საათის მაქსიმალური საბაზრო ფასის გამოყენებით (7.81 ლარი/კაც-საათი) აღნიშნული სამუშაოების მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 9.2 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 122.1 ათას ლარს (131.3-9.2) დანარიცხების გარეშე.

ფორმა N2-ებში ასევე ჩადებულია დატკეპნილ გრუნტზე ბალასტით მოსამზადებელი შრის მოწყობის სამუშაოები, რომლებშიც გახარჯულად არის ნაჩვენები ჯამურად 40920 მ³ ბალასტი (1მ³-ის ფასი 28 ლარი ტრანსპორტირების ხარჯის გარეშე²⁰), რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,145.8 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე. მშენებლობის შემფასებელთა კავშირის ცნობარების, ინტერნეტ საიტებისა და სხვადასხვა მომწოდებლებისგან მიღებული ინფორმაციების მიხედვით 1მ³ ბალასტის ღირებულება არ

¹⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ დანართის 93-ე პოზიცია .

²⁰ აღსანიშნავია, რომ ამავე ობიექტზე (პორტალი ნინოწმინდა) შპს „პიკ კონსტრაქშენს“ ფორმა N2-ში ბალასტის ღირებულება ჩადებული აქვს 15 ლარის ოდენობით.

აღემატება 11.0 ლარს. შესაბამისად გახარჯული ბალასტის რეალური ღირებულება არ აღემატება 450.1 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 695.7 ათას ლარს (1,145.8-450.1) დანარიცხების გარეშე. გახარჯულად არის ნაჩვენები ასევე ჯამურად 3.4 ათასი მ³ ღორღი (1მ³-ის ფასი 35 ლარი), რომლის ღირებულებამ შეადგინა 120.1 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე. იმავე წყაროების მონაცემებით 1მ³ ღორღის ღირებულება არ აღემატება 23 ლარს. შესაბამისად გახარჯული ბალასტის რეალური ღირებულება არ აღემატება 78.2 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 41.9 ათას ლარს (120.1-78.2) დანარიცხების გარეშე.

გარდა ამისა მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ები) გეგმური მოგება დარიცხულია კანონმდებლობის დარღვევით²¹. ნაცვლად მაქსიმალური დასაშვები ნორმისა (8%) დარიცხვა განხორციელებულია 10%-ის ოდენობით. პირველი ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული სამუშაოების გაუთვალისწინებლად (რომელიც აღიარებულია 2012 წლის 1 ივლისამდე) სხვაობამ შეადგინა 90.2 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე (იხ. დანართი).

ზემოაღნიშნული სხვაობები დანარიცხების გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 1,596.9 ათას ლარს²², რომლითაც დაუსაბუთებლად გაზრდილია სამუშაოების ღირებულება. ზუსტი რიცხვის განსაზღვრის მიზნით აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით შემოსავლების სამსახურის მიერ სამუშაოების შემსრულებლისგან გამოთხოვილი იქნა მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ სს „მონოლითმშენის“ მიერ აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სატენდერო განცხადებაში მითითებული პორტალ ნინოწმინდის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (რომელიც განსაზღვრული იყო შპს „ბარნაბიშვილი გურგენიძე არქიტექტორების“ მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით) მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი და არ შეესაბამებოდა რეალობას მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვაში ჩადებული ცალკეული სამუშაოების მოცულობები შემცირებული იყო. რის შედეგადაც სს „მონოლითმშენმა“ ტენდერში გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ფასით, რომელიც არ ეფუძნებოდა არც შესასრულებელი სამუშაოების რეალურ მოცულობას და არც სამუშაოების ერთეულების რეალურ ღირებულებას, რამაც გამოიწვია ზემოაღნიშნული შეუსაბამოებები.

შპს „ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2012 წლის 7 აგვისტოს შემოსავლების სამსახურმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120021294) ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 6,750.0 ათასი ლარით. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა (შპს „ორნამენტი“, შპს „ინდუსტრია-

²¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა.

²² $(181.4+122.1)*1.08*1.1*1.18+(695.7+41.9)*1.03*1.08*1.1*1.18+90.2*1.18=1,596.9$. სადაც 1.03 არის სატრანსპორტო ხარჯების, 1.08 - ზედნადები ხარჯების, 1.1 - გეგმური მოგების, ხოლო 1.18 - დღგ-ს საპროცენტო დანარიცხების კოეფიციენტი.

2“ და შპს „ალიანსი“). ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი წარმოადგინა შპს „ინდუსტრია-2“-მა - 5,900.0 ათასი ლარი. მომდევნო პრეტენდენტის (შპს „ალიანსი“) სატენდერო წინადადების ღირებულებამ შეადგინა 6,375.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (2012 წლის 5 სექტემბრის სხდომის ოქმი N3) შპს „ინდუსტრია-2“ დისკვალიფიცირებული იქნა შემდეგი მიზეზებით: შემოთავაზებული კონსიგნაციის (გადახდის) ვადა - 15 დღე არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ კონსიგნაციის ვადას - 20 დღეს. პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია არ შეიცავდა მონაცემებს ბოლო 10 წლის მანძილზე სამუშაოთა წარმოების შესახებ. ხოლო ბოლო 3 წლის (2009-2011 წლები) განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი ჩამონათვალიდან (სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო არანაკლებ 7,000.0 ათასი ლარის შესრულება) არ ჩაუთვალეს შპს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოსთან 2008 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული N35 ხელშეკრულების ფარგლებში 533.0 ათასი ლარის შესრულება, რომელიც არასწორად მიაკუთვნეს 2008 წელს (რადგან როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე მისი დანართებიდან ჩანს, რომ სამუშაოები შესრულდა 2009 წელს). სულ წარმოდგენილად ჩაუთვალეს 6,896.6 ათასი ლარი, ნაცვლად 7,429.6 ათასი ლარისა. შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ალიანსი“, რომელთანაც 2012 წლის 13 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N1/719 ღირებულებით 6,375.0 ათასი ლარი.

სატენდერო დოკუმენტაციით ზემოაღნიშნული სახის მოთხოვნების განსაზღვრა, პრეტენდენტებისთვის ხელოვნურად შემზღუდავ პირობას წარმოადგენს და ხელს უშლის საბიუჯეტო თუ საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას²³ (მაგალითად, გაუგებარია რა არსებითი მნიშვნელობა აქვს გადახდის ვადა 15 დღე იქნება თუ 20 დღე, ან სამუშაო გამოცდილება 10 წელი იქნება თუ 9 წელი, თუკი პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების თანხობრივი რაოდენობა აკმაყოფილებს გამოცდილების მოთხოვნებს). სატენდერო დოკუმენტაციით ადექვატური მოთხოვნების განსაზღვრის შემთხვევაში გაიმარჯვებდა შპს „ინდუსტრია-2“, რაც შემოსავლების სამსახურს პოტენციურად 475.0 ათასი ლარის საკუთარი შემოსავლების ეკონომიას მისცემდა.

ობიექტის სამშენებლო სამუშაოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეადგინა შპს „გილსმა“ (ხელშეკრულება N1/641, 31.07.2012წ.), რისთვისაც გადახდილია 36.0 ათასი ლარი.

შპს „ალიანსის“ მიერ შესრულებული იქნა 974.1 ათასი ლარის სამუშაოები. ამის შემდეგ შემოსავლების სამსახურმა შპს „ალიანსთან“ შეწყვიტა ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის სათათბირო საბჭოს 2013 წლის 26 თებერვლის სხდომის ოქმი N4, რომელშიც აღნიშნულია, რომ:

„აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით თავიდან იქნა შესწავლილი დამტკიცებული პროექტი და ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვა. საკითხის შესწავლისას დადგინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა პროექტსა და ხარჯთაღრიცხვას შორის. კერძოდ ის, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშება არ შეესაბამება დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების პროექტსა და მის ხარჯთაღრიცხვას.

²³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული მიზანი.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის არსებობდა მშენებლობის დამტკიცებული პროექტი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება არ იქნა დამტკიცებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანილი“.

ზემოაღნიშნულის გამო მიზანშეწონილად ჩაითვალა სამუშაოთა დარჩენილ ნაწილზე გამოცხადებულიყო ახალი ტენდერი, რითაც სათათბირო საბჭოს აზრით დამატებით დაიზოგებოდა თანხები. ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით შპს „ალიანსს“ ეცნობა 2013 წლის 4 მარტის N21-02/16718 წერილით.

გაუგებარია ის ფაქტი, რომ „შეუსაბამობა“, რომლის გამოც შეწყდა ხელშეკრულება, რატომ ვერ იქნა აღმოჩენილი სატენდერო პროცედურების მიმდინარეობისას და აღმოჩენილი იქნა მშენებლობის დაწყებიდან 5 თვის შემდეგ. ვინაიდან შპს „ალიანსის“ მიერ ტენდერში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, ის კანონმდებლობის დარღვევით²⁴ იქნა გამარჯვებულად გამოცხადებული.

შედეგად ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტის დარჩენილი სამუშაოების შესრულების მიზნით 2013 წლის 23 აგვისტოს გამოცხადდა ახალი ელექტრონული ტენდერი (SPA130018508), რომელში გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 7 ოქტომბერს შპს „ნოვასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება N1/501, ღირებულებით 5,500.0 ათასი ლარი (რითაც ობიექტის მშენებლობის ღირებულება კი არ შემცირდა, არამედ საწყის ღირებულებასთან შედარებით 99.1 ათასი ლარით იქნა გაძვირებული²⁵). აუდიტის პერიოდში (2014 წლის 1 იანვრამდე) შპს „ნოვასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გადახდებს და სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტების წარმოდგენას ადგილი არ ჰქონდა.

რაც შეეხება შპს „ალიანსის“ მიერ შესრულებულ სამუშაოებს, მიღება ჩაბარების აქტების (ფ.N2-ების) შემოწმებით გაირკვა, რომ მონოლითური რკინა-ბეტონის სამუშაოებზე (სადირკველი, რიგელები და სხვა, სულ 902 მ³) შრომის ანაზღაურება განფასებულია არარეალური საბაზრო ფასით (1კაც/საათი - 15 ლარი, სულ 7,298.9 კაც/საათი), რაზეც გაანგარიშებით აღნიშნულ სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების ღირებულებამ შეადგინა 109.5 ათასი ლარი. მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მონაცემებით 1კაც/საათის საშუალო საბაზრო ღირებულება შეადგენს 4.6 ლარს. ხოლო თუ ვიანგარიშებთ 1კაც/საათის მაქსიმალური საბაზრო ფასის მიხედვით (1კაც/საათი - 7.81 ლარი), აღნიშნულ სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების მაქსიმალური ღირებულება იქნება 57.0 ათასი ლარი. სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 52.5 ათას ლარს (109.5-57.0). დანარიცხების გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 73.6 ათას ლარს (52.5*1.1*1.08*1.18).

მოთხოვნილი მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები შპს „ალიანსის“ მიერ წარმოდგენილი იქნა არასრულყოფილად. კერძოდ, ფორმა N2-ების მიხედვით გამოყენებულად არის ნაჩვენები 70 მ³ ბეტონი (1 მ³-ის ფასი 150 ლარი დღგ-ს გარეშე). წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 25 მ³ ბეტონის შესყიდვის დოკუმენტები (1 მ³-ის ფასი 165

²⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა.

²⁵ 5,500.0+974.1-6,375.0

ლარი დღგ-ს ჩათვლით). ფორმა N2-ების მიხედვით გამოყენებულად არის ნაჩვენები 70.2 ტონა არმატურა (1 ტონის ფასი 1450 ლარი დღგ-ს გარეშე). წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 22 ტონა არმატურის შესყიდვის დოკუმენტები (1 ტონის ფასი 1325 ლარი დღგ-ს ჩათვლით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია, რომ მასალების ღირებულებები ფორმა N2-ებში ჩადებული იყოს გაზრდილი ოდენობებით, რისი გარკვევაც შემდგომი შესწავლის საგანს წარმოადგენს.

შპს „ორნამენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2012 წლის 6 ივნისს შემოსავლების სამსახურსა და შპს „ორნამენტს“ შორის გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება N1/497 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა პორტალ სარფის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები. საწყისმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 1,289.3 ათასი ლარი. 2012 წლის 1 აგვისტოს N1 შეთანხმების ოქმის საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 1,288.2 ათასი ლარით. ვერ იქნა დასაბუთებული რომ არსებობდა ვითარება, რომელმაც გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზის გამოყენება. შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

მიღება-ჩაბარების აქტებისა და მოთხოვნილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ შპს „ორნამენტის“ მიერ წარმოდგენილ ფორმა N-2-ებში ცალკეული მასალების ღირებულებები ჩადებულია თვითღირებულებასთან შედარებით გაზრდილი ოდენობებით, რითაც დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა²⁶. მაგალითად:

რბილი იატაკის კომპლექტის 1მ² მასალის ღირებულება ფორმა N2-ში ჩადებულია 65.0 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე, მაშინ როდესაც შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 29.66 ლარი დღგ-ს გარეშე (სასაქონლო ზედნადები ელ-0022866086). სხვაობამ 495 მ² მასალაზე გაანგარიშებით დანარიცხების გარეშე შეადგინა 17.5 ათასი ლარი $[(65.0-29.66)*495]$.

ლამინირებული იატაკის 1მ² მასალის ღირებულება ფორმა N2-ში ჩადებულია 53.0 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე, მაშინ როდესაც შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 28.39 ლარი დღგ-ს გარეშე (სასაქონლო ზედნადები ელ-0013002709). სხვაობამ 622 მ² მასალაზე გაანგარიშებით დანარიცხების გარეშე შეადგინა 15.3 ათასი ლარი $[(53.0-28.39)*622]$.

გრანიტის ფილების 1მ² მასალის ღირებულება ფორმა N2-ში ჩადებულია 55.0 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე, მაშინ როდესაც შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 15.25 ლარი დღგ-ს გარეშე (სასაქონლო ზედნადები ელ-0023175288). სხვაობამ 898 მ² მასალაზე გაანგარიშებით დანარიცხების გარეშე შეადგინა 35.7 ათასი ლარი $[(55.0-15.25)*898]$.

²⁶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

სულ სხვაობამ დანარიცხების გარეშე შეადგინა 68.5 ათასი ლარი. დანარიცხების (ზედნადები ხარჯები, გეგმური მოგება და დღგ) გათვალისწინებით სხვაობამ შეადგინა 94.2 ათასი ლარი ($68.5 \times 1.09 \times 1.07 \times 1.18$), რომელიც ზედმეტად არის გადახდილი.

შპს „ორნამენტის“ მიერ მოთხოვნილი მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა ნაწილობრივ იმ მოტივით, რომ დოკუმენტები ამოღებული ჰქონდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურს. რაც არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან შესაძლებელი იყო შემოსავლების სამსახურის ინტერნეტ-პორტალიდან (რომელიც გარე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი არ არის) ყველა ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების ამოღება და წარმოდგენა. აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ თვითღირებულებების გაზრდილი ოდენობებით წარმოდგენას სხვა მასალების შემთხვევაშიც ჰქონდეს ადგილი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შპს „ორნამენტს“ უნდა შეესრულებინა სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის კომპლექსზე წარწერა „GEORGIA“-ს დამზადება და მონტაჟი (მოთხოვნის შესაბამისად) ღირებულებით 10.4 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება „მოთხოვნაში“, მაგრამ აღნიშნული წარწერის მონტაჟი ფორმა N2-ების მიხედვით განხორციელებული არ არის.

ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება

შემოსავლების სამსახურის დაფინანსება ხორციელდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე გადასახადის გადამხდელებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებიდან მიღებული საკუთარი შემოსავლებით²⁷. საკასო მეთოდით დათვლილმა საკუთარმა შემოსავლებმა 2012 წელს შეადგინა 96,175.5 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 95,639.0 ათასი ლარი. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას, შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი:

2012 წლის საბიუჯეტო განაცხადით შემოსავლების სამსახურმა მოითხოვა საბიუჯეტო დაფინანსება 54,000.0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის შრომის ანაზღაურება 41,000.0 ათასი ლარი). 2012 წლის ბიუჯეტის კანონის საწყისი რედაქციით შემოსავლების სამსახურს დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 41,000.0 ათასი ლარის ოდენობით (მთლიანად შრომის ანაზღაურების მუხლით). შემოსავლების სამსახურს საბიუჯეტო განაცხადით სოციალური უზრუნველყოფის მუხლით მოთხოვნილი ჰქონდა 750.0 ათასი ლარი, თუმცა ბიუჯეტის კანონით აღნიშნულ მუხლში ასიგნება არ იქნა გათვალისწინებული (აღნიშნული მუხლით ხარჯები გაწეულია საკუთარი შემოსავლებიდან). შემოსავლების სამსახურის წერილით (N47500-21, 25.05.2012წ.) განხორციელებული მოთხოვნის შემდეგ ბიუჯეტის კანონში 2012 წლის 22 მაისს შეტანილი ცვლილებით შემოსავლების სამსახურის წლიური დამტკიცებული ასიგნება 3,000.0 ათასი ლარის ხარჯების მუხლში დამატების შედეგად გაიზარდა 44,000.0 ათას ლარამდე (2012 წლის 5 ივნისის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების N631 ცნობით გეგმა დაზუსტდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლში). გარდა ამისა 2012

²⁷ „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილების საფუძველზე.

წლის 25 ივნისის N63672-21 წერილით გაკეთებული მოთხოვნის შემდეგ გადანაწილება განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ასიგნებიდან (პროგრამული კოდი 23 01 01) შემოსავლების სამსახურის ასიგნებაზე (პროგრამულ კოდზე 23 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 1,000.0 ათასი ლარის ოდენობით (2012 წლის 12 სექტემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N714-1). რის შედეგადაც 2012 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 45,000.0 ათასი ლარი. იმ გარემოების გამო, რომ შემოსავლების სამსახურს 2012 წლის დასაწყისში საბანკო ანგარიშებზე ნაშთად ერიცხებოდა საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული 58,394.0 ათასი ლარი (მათ შორის დეპოზიტზე განთავსებული იყო 10,000.0 ათასი ლარი), ხოლო წლის ბოლოს ნაშთად ერიცხებოდა აუთვისებელი 16,707.1 ათასი ლარი, საბიუჯეტო სახსრების გაზრდის ზემოაღნიშნული მოთხოვნები დაუსაბუთებელია²⁸ და ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვის დამადასტურებელია. შედეგად შესაძლებელი იყო „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გადახდილი 3,958.6 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლების გამოყენებით.

2013 წლის საბიუჯეტო განაცხადით შემოსავლების სამსახურმა თავდაპირველად მოითხოვა წლიური ასიგნება 41,000.0 ათასი ლარის ოდენობით (მხოლოდ შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად). თუმცა 2013 წლის ბიუჯეტის კანონით ასიგნება დაუმტკიცდა 51,000.0 ათასი ლარის ოდენობით. ვერ იქნა წარმოდგენილი კორექტირებული საბიუჯეტო განაცხადი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით კორექტირებული განაცხადი არ გაკეთებულა და ასიგნების გაზრდა სიტყვიერი შეთანხმებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ბოლოს შემოსავლების სამსახურს საბანკო ანგარიშებზე ნაშთად ერიცხებოდა საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული გამოუყენებელი 36,684.2 ათასი ლარი, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე გადახდების განხორციელება არ წარმოადგენდა აუცილებლობას. აღნიშნული გადახდების საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული სახსრების ხარჯზე განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიზოგებოდა 8,487.2 ათასი ლარი.

სს „კორ სტანდარტ ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2011 წლის 9 აგვისტოს შემოსავლების სამსახურსა და სს „კორ სტანდარტ ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N21-9/11, რომლის მიხედვითაც ბანკს უნდა გაეხსნა შემოსავლების სამსახურისთვის სპეციალური ანგარიში (GE62KS0000000000999999), რომელზეც მოხდებოდა სალარო აპარატების რეგისტრაციის საფასურის აკუმულირება. ბანკმა აიღო ვალდებულება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე გაეცა სესხი სალარო აპარატების რეგისტრაციის საფასურის გადახდის მიზნით, რისთვისაც მათგან აიღებდა საკომისიოს თითო დაფინანსებულ სალარო აპარატზე 10 ლარის ოდენობით. შემოსავლების სამსახურმა აიღო ვალდებულება აღნიშნულ ანგარიშზე აკუმულირებული თანხები არ გაეტანა ერთი წლის

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

განმავლობაში. ხელშეკრულების დანართის (2011 წლის 9 აგვისტოს შეთანხმება) მიხედვით ანგარიშზე რიცხულ დღიურ ნაშთს ბანკი დაარიცხავდა საპროცენტო სარგებელს 2011 წლის 9 აგვისტოდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემდეგი განაკვეთებით: 500.0 ათას ლარამდე ნაშთის არსებობის შემთხვევაში წლიური 4%-ის ოდენობით, ხოლო 500.0 ათას ლარზე მეტი ოდენობის ნაშთის არსებობის შემთხვევაში წლიური 10%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახური ვადამდე გაიტანდა თანხას სრულად/ნაწილობრივ ან ანგარიშზე არ იქნებოდა საკმარისი ნაშთი, ბანკი უფლებამოსილი იყო უკან დაებრუნებინა დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

2012 წლის 16 მაისს შემოსავლების სამსახურმა ზემოაღნიშნულ ანგარიშზე რიცხული 25,804.6 ათასი ლარიდან 10,000.0 ათასი ლარი გადაიტანა იმავე ბანკში გახსნილ სხვა დამაგროვებელ ანგარიშზე (GE14KS0000000000077777), ხოლო ამ უკანასკნელიდან 17 და 18 მაისს შესაბამისად 350.0 ათასი ლარი და 9,000.0 ათასი ლარი გადაიტანა იმავე ბანკში გახსნილ ანგარიშსწორების ანგარიშზე (GE79KS0000000000077771). აღნიშნული გადაწყვეტილება ბანკმა ჩათვალა ხელშეკრულების პირობების დარღვევად და 2011 წლის 9 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის კუთვნილი ანგარიშზე ჩარიცხული საპროცენტო სარგებელი (144.0 ათასი ლარის ოდენობით) 2012 წლის 18 ივნისს შემოსავლების სამსახურს ჩამოაჭრა ანგარიშიდან. ზემოაღწერილი გარემოებების ანალიზით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

-ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირობები აშკარად არ შეესაბამებოდა შემოსავლების სამსახურის ინტერესებს და მორგებული იყო მხოლოდ ბანკის ინტერესებზე, რადგან გაუგებარია, თუ რატომ ერიცხებოდა ანგარიშზე არსებულ ნაშთს საპროცენტო სარგებელი მხოლოდ 2011 წლის 9 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში და არა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში (2013 წლის 9 აგვისტომდე).

-შემოსავლების სამსახურისთვის ცნობილი არ არის, მის ანგარიშზე ჩარიცხული თანხებიდან რამდენი წარმოადგენდა ბანკის მიერ გაცემული სესხის საშუალებით გადახდილ სალარო აპარატების რეგისტრაციის საფასურს და რამდენი სესხის გამოყენების გარეშე გადახდილს. შესაბამისად ზემოაღნიშნული შეზღუდვების გავრცელება სესხის გამოყენების გარეშე გადახდილ თანხებზე ორმაგად კაბალურია.

-გაუგებარია, თუ რა იგულისხმებოდა ხელშეკრულების დანართში არსებულ ჩანაწერში - „ან ანგარიშზე არ იქნება საკმარისი ნაშთი“ (რომელიც დაკონკრეტებული არ იყო), რის გამოც ბანკი უფლებამოსილი იყო უკან წაეღო დარიცხული საპროცენტო სარგებელი. 10,000.0 ათასი ლარის გადატანის შემდეგ ანგარიშზე დარჩენილი იყო 15,804.6 ათასი ლარის ნაშთი, რომელიც „არასაკმარისად“ ვერ ჩაითვლება.

-შემოსავლების სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ანგარიშიდან თანხის გადატანა (რამაც საპროცენტო სარგებლის დაკარგვა გამოიწვია) არ წარმოადგენდა აუცილებლობას იმის გათვალისწინებით, რომ გადატანილი თანხები GE79KS0000000000077771 ანგარიშიდან ერთბაშად არ გახარჯულა და ივნისის ბოლო რიცხვებამდე არსებობდა გარკვეული ნაშთები, ხოლო ანგარიშზე GE38KS0000000000088888 2012 წლის 16 მაისისთვის ირიცხებოდა ნაშთი 2,495.6 ათასი ლარის ოდენობით (26 ივნისისთვის ნაშთმა 13,048.4 ათას ლარს მიაღწია). აღნიშნული რესურსი სრულიად საკმარისი იყო იმ პერიოდის ხარჯების დასაფინანსებლად ზემოაღნიშნული 10,000.0 ათასი ლარის გადატანის გარეშე.

-იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ GE62KS0000000000099999 ანგარიშზე არსებული ნაშთის ყოველდღიური მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა 2012 წლის განმავლობაში შეადგენდა შესაბამისად 12,709.8 ათას ლარს და 25,831.3 ათას ლარს, ბანკთან ხელშეკრულების ყოველგვარი ზემოაღნიშნული შეზღუდვების გარეშე გაფორმების შემთხვევაში (ისევე, როგორც სხვა დამაგროვებელ GE14KS0000000000077777 და GE38KS0000000000088888 ანგარიშებთან დაკავშირებით იყო გაფორმებული), შემოსავლების სამსახური საპროცენტო სარგებლის სახით (10%) მიიღებდა დამატებით შემოსავალს მინიმუმ 1,271.0 ათასი ლარის ოდენობით.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები

ხშირ შემთხვევებში მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე შესყიდვები ტენდერების ნაცვლად განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის გზით საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ან გადაუღებელი აუცილებლობის მოტივით, რაც არ წარმოადგენდა აუცილებლობას. მაგალითად:

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N464 განკარგულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ერთი ერთეული მობილური რენტგენო-სკანერის (Rapiscan Eagle) შესყიდვის მიზნით 2012 წლის 17 აპრილს „Rapiscan Systems LTD UK Corporation“-თან გაფორმებული იქნა N1/331 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,825.0 ათასი აშშ დოლარი. საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვე. 2012 წლის 31 ივლისის შეთანხმების ოქმი N1-ის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად მიწოდების ვადა გაიზარდა ერთი თვით (17 სექტემბრამდე). მხარეთა შორის გაფორმებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად მიწოდება განხორციელდა 2013 წლის 25 თებერვალს, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწყისი მიწოდების ვადიდან 6 თვის შემდეგ. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ გამარტივებული შესყიდვის გზის გამოყენების მოტივად ზემოაღნიშნული მიზნის გამოყენება და ნებართვისთვის საქართველოს მთავრობაზე მიმართვა მიზანშეუწონელია, რადგან აღნიშნულ ვადებში შესაძლებელი იყო ელექტრონული ტენდერის არაერთხელ გამოცხადება და ჩატარება, რის შედეგადაც პოტენციურად შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული საქონლის უფრო ნაკლებ ფასად შეძენა.

ხელშეკრულების 14.1 პუნქტის თანახმად მიმწოდებელს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,005%-ის ოდენობით საქონლის მიწოდების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღსანიშნავია, რომ ურთიერთშეთანხმებით გაგრძელებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხოლო საქონლის მიწოდების ვადა გაგრძელებული არ არის. საქონელი ჩამოტანილია 2012 წლის 12 ოქტომბერს (საბაჟო დეკლარაცია C54715, 12.10.2012). თუმცა არსებული ტექნიკური წუნის და მის გამოსასწორებლად საჭირო ვადის გამო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა რამდენიმე თვის დაგვიანებით. აქედან გამომდინარე მიწოდების ვადის გადაცილებამ შეადგინა 161 კალენდარული დღე (2012 წლის 17 სექტემბრიდან 2013 წლის 25

თებერვლამდე). ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დარიცხული უნდა ყოფილიყო საურავი 14.7 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაც ინსპექტირების ჯგუფის მიერ არ განხორციელებულა.

საქართველოს მთავრობის იმავე დადგენილების საფუძველზე სტაციონალური რენტგენოსკანერების (NUCTECH MB1215DE) შესყიდვის მიზნით კომპანია „NUCTECH Company Limited“-თან გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ორი ხელშეკრულება. რომელთა საფუძველზე უნდა მომხდარიყო რენტგენული შემოწმების სისტემის მიწოდება ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტზე (2012 წლის 3 აპრილის ხელშეკრულება N1/306 - 4,173.5 ათასი ლარი) და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე (2012 წლის 16 მაისის ხელშეკრულება N1/428 - 3,327.5 ათასი ლარი). ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო აღჭურვილობების (რომლებიც ორივე შემთხვევაში იდენტური იყო), პროგრამული უზრუნველყოფის, ინსტალაციის (ექსპლუატაციაში გაშვების ჩათვლით), ტრენინგის, გარანტიის, პროექტის მართვის და რადიაციის საწინააღმდეგო დაცვითი ნაწილის სამშენებლო სამუშაოების მიწოდება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობებიც ერთმანეთის იდენტური იყო გარდა საქონლის მიწოდების ადგილისა და ხელშეკრულებების მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნისა, რომლის თანახმად N1/306 ხელშეკრულების შემთხვევაში რადიაციის საწინააღმდეგო ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელებინა გამყიდველს, ხოლო N1/428 ხელშეკრულების შემთხვევაში მყიდველს.

ამ ორი იდენტური ხელშეკრულების ღირებულებებს შორის სხვაობა (846.0 ათასი ლარი) გაუმიფრავია. თუ აღნიშნული სხვაობა რადიაციის საწინააღმდეგო ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ღირებულებისთვის იყო გათვალისწინებული, მაშინ ხელშეკრულებას (N1/306) თანდართული უნდა ჰქონოდა ხარჯთაღრიცხვა (რომელიც არ ახლავს მას). როგორც გაირკვა, აღნიშნული სამუშაოები შესრულებული აქვს სუბკონტრაქტორ შპს „დია კონსტრაქშენ კომპანის“. მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 306.5 ათასი აშშ დოლარი (შესაბამისი კურსით 502.7 ათასი ლარი). აქედან გამომდინარე გაუმართლებელია იგივე საქონელში 343.2 ათასი ლარით (846.0-502.7) მეტი თანხის გადახდა. გაუმიფრავია აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულებების სხვა კომპონენტების ღირებულებებიც (უშუალოდ საქონლის, პროგრამული უზრუნველყოფის, ინსტალაციის, ტრენინგის და სხვა ღირებულებები). ვერ იქნა ახსნილი აგრეთვე ის ფაქტი, რომ ორივე ხელშეკრულების ფარგლებში იმპორტირებული იდენტური საქონლის საბაჟო დეკლარაციებში მითითებულია მნიშვნელოვნად განსხვავებული ფასები. კერძოდ N1/306 ხელშეკრულების საბაჟო დეკლარაციაში მითითებულია საქონლის ღირებულება - 3,713.1 ათასი ლარი, ხოლო N1/428 ხელშეკრულების საბაჟო დეკლარაციაში - 2,700.0 ათასი ლარი (რაც შეუსაბამობაშია ასევე სახელშეკრულებო ღირებულებებთან).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნინოწმინდის, ვალესა და სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტებისთვის ანალოგიური დანიშნულების 3 ერთეული სტაციონალური რენტგენული კონტროლის სკანერის და მისი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შეძენის მიზნით შემოსავლების სამსახურმა 2013 წლის 13 ნოემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130024704). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 9,960.0 ათასი ლარით. ერთი ერთეულის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა N1/428 ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ღირებულებიდან გამომდინარე (მიახლოებით) - 3,320.0 ათასი

ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა იმავე პრეტენდენტმა - „Rapisan Systems LTD UK Corporation“-მა და „NUCTECH Company Limited“. ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა „NUCTECH Company Limited“-მა სატენდერო წინადადებით 7,560.0 ათასი ლარი. ერთი ერთეულის ღირებულება - 2,520.0 ათასი ლარი (მათ შორის თვითონ სკანერი - 2,066.4 ათასი ლარი, ხოლო ნაგებობის მოწყობა, მონტაჟი და ინსტალაცია - 453.6 ათასი ლარი). N1/306 ხელშეკრულების ღირებულებასთან შედარებით სხვაობა შეადგენს 1,653.5 ათას ლარს, ხოლო 1/428 ხელშეკრულების ღირებულებასთან შედარებით - 807.5 ათას ლარს.

შემოსავლების სამსახურს წლის დასაწყისიდან ჰქონდა საკმარისი დრო ტენდერის გამოსაცხადებლად და ზემოაღნიშნული შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობისთვის მიმართვა მიზანშეუწონელია. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე N1/306 და N1/428 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესყიდვები ელექტრონული ტენდერების საშუალებით რომ განხორციელდებოდა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, კონკურენციის საფუძველზე შესაძლებელი იყო მიღებული ყოფილიყო მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების ეკონომია.

2012 წლის 31 მაისს შემოსავლების სამსახურმა გამარტივებული შესყიდვის გზით გააფორმა ხელშეკრულება N1/475 კომპანია „Muhibauer AG“-სთან ღირებულებით 1,052.3 ათასი ევრო. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 18 ერთეული ელექტრონული კარის მიწოდება და მონტაჟი. შესყიდვის ამ საშუალების გამოყენების საფუძველად მოტანილი იყო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმა, რომლის მიხედვითაც გამარტივებული შესყიდვის გზის გამოყენება ნებადართულია, თუ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან. როგორც გაირკვა შემოსავლების სამსახურს ზემოაღნიშნული კომპანიისგან მანამდე არ ჰქონია შეძენილი არანაირი საქონელი. ბუნებრივია, ვერც ხარისხის გაუარესების თავიდან აცილებას და ვერც შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფას ექნებოდა ადგილი. შესყიდვა განხორციელდა კანონმდებლობის დარღვევით - გამოცხადებული უნდა ყოფილიყო ელექტრონული ტენდერი. მიწოდებული იქნა 8 ერთეული ელექტრონული კარი, რაშიც გადახდილია 467.7 ათასი ევრო. რის შემდეგაც გაურკვეველი მიზეზით ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა.

შპს „გრუსიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2012 წლის 2 ივლისს შემოსავლების სამსახურმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120018359) პორტალ სადახლოს შენობის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 368.0 ათასი ლარით. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი ფასები: შპს „პრიზმა“ – 278.5 ათასი ლარი, შპს „რეალშენი“ – 278.7 ათასი ლარი, ხოლო შპს „გრუსია“ – 368.0 ათასი ლარი.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (2012 წლის 24 ივლისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე გაგზავნილი 2012 წლის 24 ივლისის N21-02/53022 წერილით) ყველაზე დაბალი ფასის მქონე შპს „პრიზმას“ მიეცა 2 სამუშაო დღის ვადა წარმოედგინა ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ და თანხმობა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის თაობაზე. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (2012 წლის 27 ივლისის N3 სხდომის ოქმის და მის საფუძველზე გაგზავნილი 2012 წლის 27 ივლისის N21-02/53836 წერილის მიხედვით) დადგენილ ვადაში მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო შპს „პრიზმას“ მიეცა დისკვალიფიკაცია. ანალოგიურად, მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „რეალშენსაც“ მიეცა 2 სამუშაო დღის ვადა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის, რომლის გასვლის შემდეგ ასევე განხორციელდა მისი დისკვალიფიკაცია. შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „გრუსია“, რომელთანაც 2012 წლის 8 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N1/652 ღირებულებით 368.0 ათასი ლარი.

გაუგებარია ის ფაქტი, თუ რატომ მიეცა შპს „პრიზმას“ ტექნიკური დოკუმენტაციის (მათ შორის ხარჯთაღრიცხვის) დაზუსტებისთვის 2 სამუშაო დღის ვადა, როცა შესაძლებელი იყო მაქსიმალურის - 3 სამუშაო დღის ვადის მიცემაც (ბუნებრივია, რომ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე სხვა ნებისმიერი მონაცემის). აგრეთვე, იმ პერიოდისთვის მოქმედი კანონმდებლობით დაკონკრეტებული არ არის, თუ საიდან იწყება ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის მიცემული ვადის ათვლა. ნორმა, რომლის მიხედვითაც „მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან“, ძალაში შევიდა 2012 წლის სექტემბრიდან²⁹. აქედან გამომდინარე აღნიშნული ტენდერის ფარგლებში შეტყობინების მიღებულად ჩათვლასთან დაკავშირებული ვადის ათვლა ლოგიკურად უნდა დაწყებულიყო წერილის მიღების დღიდან და არა გაგზავნის დღიდან (24 ივლისი).

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ტენდერის გამოცხადებამდე 2012 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახურს შპს „პრიზმასთან“ გაფორმებული ჰქონდა 3 ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. მათ შორის 2 ხელშეკრულება გაფორმებული იყო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით იმავე ობიექტთან (პორტალი სადახლო) დაკავშირებით: 2012 წლის 20 იანვრის ხელშეკრულება N1/66 ღირებულებით 991.6 ათასი ლარი და 2012 წლის 6 მარტის ხელშეკრულება N1/217 ღირებულებით 133.6 ათასი ლარი. ხოლო ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გაფორმებული ჰქონდა 2012 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულება N1/186 ღირებულებით 2,000.0 ათასი ლარი (ჩიქოვანის ქ. N2-ში მდებარე ოფისის სამუშაოები).

გარდა ამისა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. ასევე უფლებამოსილია გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის

²⁹ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 სექტემბრის N10 ბრძანების („გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

შემთხვევებში ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე³⁰.

კანონმდებლობით³¹ გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი. აღნიშნული გარემოების არსებობის ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ტენდერში ორმა პრეტენდენტმა (შპს „პრიზმამ“ და შპს „რეალშენმა“) დააფიქსირა დაახლოებით ერთნაირი სატენდერო წინადადების ფასები, რომლებიც მნიშვნელოვანი ოდენობით ნაკლები იყო გამარჯვებულის (შპს „გრუსიას“) სატენდერო წინადადების ფასზე.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით შემოსავლების სამსახურს ტენდერში ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის გონივრული ვადის მიცემის, ან ტენდერის შეწყვეტის და ხელახალი ტენდერის გამოცხადების, ან გამარტივებული შესყიდვის გზით შპს „პრიზმასთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შეეძლო აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში განეხორციელებინა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ეკონომია 89.5 ათასი ლარის ოდენობით³².

როგორც გაირკვა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების (1/652) გაფორმებამდე იმავე ობიექტის (პორტალი სადახლო) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე შემოსავლების სამსახურს შპს „გრუსიასთან“ გაფორმებული ჰქონდა კიდევ 5 ხელშეკრულება: 2011 წლის 19 სექტემბრის ხელშეკრულება N02/616 - ღირებულებით 2,079.1 ათასი ლარი, 2012 წლის 30 იანვრის ხელშეკრულება N1/88 - ღირებულებით 11.9 ათასი ლარი, 2012 წლის 1 მარტის ხელშეკრულება N1/199 - ღირებულებით 181.2 ათასი ლარი, 2012 წლის 1 მარტის ხელშეკრულება N1/200 - ღირებულებით 161.6 ათასი ლარი, 2012 წლის 6 აპრილის ხელშეკრულება N1/311 - ღირებულებით 404.6 ათასი ლარი. მათ შორის უკანასკნელი გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რომელიც ვერ იქნა დასაბუთებული (რადგან არ არსებობდა ვითარება³³, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნიდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას ან საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს).

პორტალ სადახლოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა ასევე შპს „კომფორტი-2005“-თან შემდეგი ხელშეკრულებები: 2012 წლის 11 მაისის N1/405 - ღირებულებით 613.1 ათასი ლარი, 2012 წლის 29 ივნისის N1/579 - ღირებულებით 771.7 ათასი ლარი და 2012 წლის 30 აგვისტოს N1/691 ხელშეკრულება

³⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 1-ლი პუნქტის გ¹ ქვეპუნქტის მიხედვით.

³¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა.

³² 368.0-178.5

³³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

ღირებულებით 18.2 ათასი ლარი. სამივე შემთხვევაში საფუძვლად მოტანილი იყო გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც ასევე დაუსაბუთებელია. შემოსავლების სამსახურს წლის დასაწყისიდან ჰქონდა საკმარისი დრო და ნაწილ-ნაწილ სამუშაოების შესყიდვის ნაცვლად შეედლო პორტალ სადახლოს სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებინა ერთიანი ელექტრონული ტენდერი³⁴, რითაც დაიზოგებოდა გარკვეული ფულადი სახსრები.

ავტომანქანების ჩანაცვლება

2012 წლის 8 ივნისს შემოსავლების სამსახურსა და ფ/პ გიორგი ქოქოსაძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N1/503 სახელმწიფო შესყიდვაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 7.5 ათას ლარად შეფასებული 6 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩანაცვლება 15 ერთეული ახალი და 2 ერთეული გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებით - ჯამური ღირებულებით 386.7 ათასი ლარი. ფულადი სახით გადასახდელმა თანხამ შეადგინა 379.2 ათასი ლარი (ანუ მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 98%). დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. 2012 წლის 11 ივნისით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შემოსავლების სამსახურმა ფ/პ გიორგი ქოქოსაძისგან ჩაიბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 17 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და გადასცა 6 ერთეული ავტომანქანა. შემოსავლების სამსახურის მიერ დამატებით გადახდილი იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა (379.2 ათასი ლარი).

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა ფ/პ გიორგი ქოქოსაძეს მიწოდებული 17 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან 16 ერთეული შესყიდული ჰქონდა სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოსგან“ 189.0 ათას აშშ დოლარად, ხოლო ერთი ერთეული ავტობუსი შესყიდული ჰქონდა ფ/პ სიმონ ვაშაკიძისგან 36.0 ათას აშშ დოლარად (ჯამურად 225.0 ათასი აშშ დოლარი). ჯამურმა თანხამ იმ დროისთვის (2012 წლის 11 ივნისი) არსებული კურსით (1.6341 ლარი/აშშ დოლარი) შეადგინა 367.6 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზით ცხადია, რომ ჩანაცვლების გარეშე პირდაპირი წყაროდან (იმპორტიორი კომპანია სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“) ავტომანქანების შეძენის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურის მიერ დაზოგილი იქნებოდა 11.6 ათასი ლარის ფულადი სახსრები პლუს საკუთრებაში დარჩებოდა 6 ერთეული ძველი ავტომანქანა (უფრო სარფიან ფასად შემდგომი რეალიზაციის შანსით). ხოლო აღნიშნული შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში კონკურენციის შედეგად ფასის კლების ხარჯზე შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი ფულადი სახსრების დაზოგვაც. გასაანალიზებელი იყო ასევე ის გარემოებაც, რომ არაიმპორტიორი (შუამავალი) პირის საშუალებით განხორციელებული ჩანაცვლებით, როდესაც შესაძენი ავტომანქანების ღირებულების 98% ფულადი სახით არის გადასახდელი, ვერ მიიღწევა ფინანსური ეფექტი იმის გამო, რომ მიმწოდებლის (შუამავლის) მიერ შესყიდვის ღირებულებაზე დარიცხული ფასნამატი როგორც წესი 2%-ზე ბევრად მეტია.

³⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო შემოსავლების სამსახურის მიერ აღნიშნულ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებების შეძენა ჩანაცვლების გზით მიზანშეუწონელი იყო. ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით მიზანშეუწონელი იქნებოდა ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

ანალოგიური ანალიზის მიზნით შპს „ქარ თრეიდ კომპანისგან“ შემოსავლების სამსახურის საშუალებით გამოთხოვილი იქნა ავტომანქანების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული დოკუმენტები (N2/110,13.12.2013 ხელშეკრულების ფარგლებში). აღნიშნული დოკუმენტები კომპანიის მიერ წარმოდგენილი არ იქნა.

სარეკლამო ვიდეორგოლების შესყიდვები

შემოსავლების სამსახურს სარეკლამო ვიდეორგოლების შესყიდვებზე გაფორმებული აქვს რამდენიმე ხელშეკრულება სხვადასხვა მომწოდებლებთან. კერძოდ:

2012 წლის 9 თებერვალს შპს „სტუდია მეტროსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება N1/127 ღირებულებით 120.7 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტების საიმიჯო ვიდეორგოლების დამზადება. 2012 წლის 10 თებერვალს შპს „სოლოსოლოსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება N1/128 ღირებულებით 35.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის უბნის საგადასახადო ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვის ამსახველი ვიდეორგოლი. 2012 წლის 29 მარტს შპს „ედ ვინდფორსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება N1/286 ღირებულებით 130.9 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის ჩეკების გათამაშების ვიდეორგოლის დამზადება. 2012 წლის 3 აპრილს შპს „20 Steps productions“-თან გაფორმდა ხელშეკრულება N1/305 ღირებულებით 122.1 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ფარგლებში სარეკლამო რგოლის დამზადება. ყველა ამ ხელშეკრულების დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები.

აღსანიშნავია, რომ არცერთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას არ ახლავს ხარჯთაღრიცხვა, რითაც დასაბუთებული იქნებოდა სახელშეკრულებო ღირებულებები. ასევე არცერთ ხელშეკრულებაში (გარდა N1/286 ხელშეკრულებისა) არ ფიქსირდება სარეკლამო რგოლის ხანგრძლივობა. შედეგად გაურკვეველია გადახდილი ფასი რამდენად შეესაბამება პროდუქტის რეალურ ღირებულებას.

გარდა ამისა ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის გზით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რისი აუცილებლობაც ვერ იქნა დასაბუთებული. შემოსავლების სამსახურს წლის დასაწყისიდან ჰქონდა საკმარისი დრო ტენდერების გამოსაცხადებლად და შესაბამისად შესყიდვის ამ საშუალების გამოყენებით შესყიდვების უფრო ეკონომიურად განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო აღნიშნული შესყიდვების განხორციელებისას შემოსავლების სამსახურის მიერ არ არის განხორციელებული კონტროლი ფულადი

სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფაზე, რასაც მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა³⁵.

მთარგმნელობითი მომსახურებების შესყიდვა

2012 წლის 24 იანვარს შემოსავლების სამსახურმა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან გამარტივებული შესყიდვის გზით გააფორმა ხელშეკრულება N1/76 მთარგმნელობითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 30.0 ათასი ლარი. მომსახურება მოიცავდა სხვადასხვა ევროპული და აზიური ენებიდან ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნას და პირიქით. ერთი გვერდის (1800 სიმბოლო) თარგმნის ღირებულებამ ევროპული ენებისთვის შეადგინა 20 ლარი, ხოლო აზიური ენებისთვის 25 ლარი. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლები. გამარტივებული შესყიდვის საფუძველად მოტანილია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის N469 განკარგულება, რომლის მიხედვითაც შემოსავლების სამსახურს იმ პერიოდში მიეცა უფლებამოსილება შესყიდვა განხორციელებინა ამ გზით. შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე აღნიშნული განკარგულება ბუნებრივია, რომ ვრცელდებოდა 2011 წელს განხორციელებულ კონკრეტულ შესყიდვაზე და ვერ გავრცელდებოდა 2012 წლის განმავლობაში განხორციელებულ შესყიდვებზე. აქედან გამომდინარე შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემების მიხედვით შესყიდვების ტენდერების საშუალებით განხორციელების შემთხვევებში ანალოგიური სახის მომსახურებაზე ერთი გვერდის მთარგმნელობითი მომსახურების ფასები ბევრად ნაკლებია და მერყეობს 12 ლარიდან 17 ლარამდე. მაგალითად: გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA110032355) გამარჯვების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გააფორმა ხელშეკრულება (N16, 06.01.2012) შპს „ჯი ემ ჯი ცენტრთან“ ანალოგიური სახის მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვაზე ერთი გვერდის ღირებულებით 12.24 ლარი. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120001007) გამარჯვების საფუძველზე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება (N34, 26.01.2012) შპს „ბეიკერლოოსთან“ სხვადასხვა ევროპულ და აზიურ ენებზე მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვაზე ერთი გვერდის ღირებულებებით 13.11 ლარიდან 17.80 ლარამდე.

შემოსავლების სამსახურმა ანალოგიური სახის მომსახურებებზე ასევე გამარტივებული შესყიდვის გზით 2012 წლის თებერვლიდან აპრილამდე პერიოდში ხელშეკრულებები გააფორმა ფიზიკურ პირებთან (ნაზიმ ბაირამოვი, თინათინ ხარჩილავა და ნინო კვესელავა) ჯამური ღირებულებით 11.2 ათასი ლარი. ხოლო 2012 წლის 10 მაისს ი/მ ანა ადამიასთან გააფორმა ხელშეკრულება N1/398 (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 30 აპრილის N820 განკარგულების საფუძველზე) მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 10.0 ათასი ლარი (ერთი გვერდის ღირებულება 22.0 ლარი).

³⁵ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ შესყიდვების ტენდერებით განხორციელების შემთხვევაში დაიზოგებოდა შემოსავლების სამსახურის გარკვეული ფულადი სახსრები.

შპს „ტრეიდ პროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ელექტრონულ ტენდერში (SPA130007747) გამარჯვების საფუძველზე 100000 ერთეული ლუქის შესყიდვის მიზნით 2013 წლის 16 აპრილს შპს „ტრეიდ პროსთან“ გაფორმდა N1/230 ხელშეკრულება ღირებულებით 58.7 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 0.587 ლარი). როგორც მოხსენებითი ბარათებიდან გაირკვა, პირველ ეტაპზე მიწოდებული ლუქების პრაქტიკაში გამოყენებისას გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, დარღვეული იყო ლუქების მთლიანობა. აღნიშნული მიზეზის გამო ხელშეკრულება შეწყდა, ხოლო შემსყიდველის მიერ ანაზღაურებული იქნა ამ ეტაპამდე მიწოდებული 10000 ლუქის ღირებულება 5.9 ათასი ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული არასასურველი გარემოებების შემცირების მიზნით ახალი ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა ტექნიკური დავალება, რომლის მიხედვითაც ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებული იყო წარმოედგინა შემოთავაზებული ლუქის ნიმუში, რომელიც შემდგომში ექსპერტიზისთვის გადაგზავნილი იქნებოდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში“ და მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე ჩაითვლებოდა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადება მისაღებად. 2013 წლის 22 მაისს ზემოაღნიშნული პირობებით თავიდან გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA130011261) არ შედგა, ხოლო 30 მაისის ტენდერი (SPA130011974) დასრულდა უარყოფითი შედეგით (რომელშიც მონაწილეობდა და ექსპერტიზის დასკვნის გამო დისკვალიფიცირებული იქნა იგივე შპს „ტრეიდ პრო“). აღსანიშნავია, რომ პირველად ჩატარებული ტენდერის (SPA130007747) ტექნიკური დოკუმენტაციაც ითვალისწინებდა შემოთავაზებული ლუქის ნიმუშის წარმოდგენის ვალდებულებას, რომლის განხილვის შედეგად მიღებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება. სატენდერო კომისიის 2013 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმის მიხედვით კომისიამ ჩათვალა, რომ შპს „ტრეიდ პროს“ მიერ წარმოდგენილი ნიმუში აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გაურკვეველია, რატომ მიიღო კომისიამ ასეთი გადაწყვეტილება, თუ კი საქონელი არ იყო ხარისხიანი.

საბოლოოდ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით) 60000-60000 ლუქის შესყიდვის მიზნით 2013 წლის 26 ივნისს და 28 აგვისტოს გაფორმდა N1/346 და N1/429 ხელშეკრულებები იმავე შპს „ტრეიდ პროსთან“. ხელშეკრულებებით არ იყო განსაზღვრული მოსაწოდებელ ლუქებზე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება. ამასთან ერთი ერთეული ლუქის ღირებულებამ შეადგინა 0.7 ლარი. ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

-შპს „ტრეიდ პროს“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისთვის გამოყენებული არ არის N1/230 ხელშეკრულების მე-13 მუხლით განსაზღვრული სანქციები.

-გაურკვეველია ხელშეკრულების შეწყვეტის მოტივი, თუ კი საბოლოოდ ისევ შპს „ტრეიდ პროსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება იგივე საქონელზე და იგივე ტექნიკური მახასიათებლებით. შესაძლებელი იყო თავდაპირველი ხელშეკრულების ფარგლებშიც მოეთხოვათ მომწოდებლისგან ხარისხის დაცვა.

-ახალი ხელშეკრულებით გაზრდილია ერთეულის ფასი, რითაც ტენდერით განსაზღვრულ ფასთან შედარებით გადახდილია ერთეულში 0.113 ლარით მეტი, რაც თავდაპირველი ხელშეკრულებით დარჩენილ 90000 ერთეულზე შეადგენს 10.2 ათას ლარს, რომელიც არაეკონომიურად არის გახარჯული.

საგადასახადო შეთანხმებები

აუდიტის პერიოდში შემოსავლების სამსახურს სხვადასხვა საგადასახადო გადამხდელთან გაფორმებული აქვს საგადასახადო კანონმდებლობით³⁶ გათვალისწინებული საგადასახადო შეთანხმებები, რის შედეგადაც მრავალ საგადასახადო გადამხდელს შეუმცირდა ბიუჯეტის წინაშე არსებული ვალდებულებები. კერძოდ, 2012 წლის განმავლობაში საგადასახადო შეთანხმება გაუფორმდა 1195 საგადასახადო გადამხდელს, რომელთაც ბიუჯეტების წინაშე არსებული ჯამური დეკლარირებული დავალიანება 485,943.0 ათასი ლარი შეუმცირდათ 95,346.3 ათას ლარამდე (შემცირდა 390,596.7 ათასი ლარით). ხოლო 51,217.1 ათასი ლარის ჯამურ არადეკლარირებულ დავალიანებებზე გაუუქმდათ ჯარიმები და გადაუვადდათ გადახდის ვადა.

2013 წლის განმავლობაში საგადასახადო შეთანხმება გაუფორმდა 822 საგადასახადო გადამხდელს, რომელთაც ბიუჯეტების წინაშე არსებული ჯამური დავალიანება 59,482.5 ათასი ლარი შეუმცირდათ 27,293.6 ათას ლარამდე (შემცირდა 32,188.9 ათასი ლარით). ხოლო 27,494.6 ათასი ლარის ჯამურ არადეკლარირებულ დავალიანებებზე გაუუქმდათ ჯარიმები და გადაუვადდათ გადახდის ვადა.

რიგ შემთხვევებში საგადასახადო გადამხდელების მიერ საგადასახადო შეთანხმებების მიზნით შემოტანილ განცხადებებზე უარი არ არის ნათქვამი³⁷ და ფინანსთა მინისტრის საშუალებით პრემიერ-მინისტრისადმი განსახილველად წარდგენილია დასაბუთების გარეშე (დოკუმენტებში არ არის მოყვანილი დამაჯერებელი არგუმენტები), რის შემდეგაც გაფორმებული საგადასახადო შეთანხმებების შედეგად ბიუჯეტების შემოსავლების ნაწილი შემცირებულია მნიშვნელოვანი ოდენობის თანხებით. კერძოდ, 2012 წლის განმავლობაში საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა ისეთ ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობის სფერო არ მიეკუთვნება სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებს და გაურკვეველია მათთვის ბიუჯეტების წინაშე ვალდებულებების შემცირების მოტივი. მაგალითად, ზემოაღნიშნული სახით წარდგენის შემდგომ პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცემული 2012 წლის 12 აპრილის N522 ბრძანების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „ვეგასთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 14,039.7 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 150.0 ათას ლარამდე 540 დღიანი გადავადებით (შეუმცირდა 98.9%-ით). პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 14 ივნისის

³⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით გათვალისწინებული.

³⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 293-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

N810 ბრძანების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „სამი ტუზი-333-თან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 11,441.7 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 75.0 ათას ლარამდე 730 დღიანი გადავადებით (შეუმცირდა 99.3%-ით). ორივე ამ კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი.

გაურკვეველია ასევე ცალკეული ტელეკომპანიებისთვის დავალიანებების შემცირების მოტივი. კერძოდ, პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 20 აგვისტოს N1200 და 12 ოქტომბრის N1447 ბრძანებების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „ტელეიმედთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 13,865.9 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 300.0 ათას ლარამდე (შეუმცირდა 97.8%-ით). ხოლო 2012 წლის 20 აგვისტოს N1199 და 12 ოქტომბრის N1445 ბრძანებების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-თან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 5,243.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 400.0 ათას ლარამდე (შეუმცირდა 92.4%-ით). ასევე 2012 წლის 16 ოქტომბრის N1463 ბრძანების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „ტელეკომპანია პიკთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 1,505.9 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 10.0 ათას ლარამდე (შეუმცირდა 99.3%-ით).

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელებისთვის დავალიანების შემცირება და არა სრულად პატიება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ვალდებულების შემცირების ზედა ზღვარი არ არის დაწესებული, ზემოთ მოყვანილი შემთხვევები (როდესაც ვალდებულების შემცირება ხდება 99%-ით) ფაქტობრივად წარმოადგენს ვალდებულების პატიებას და არა შემცირებას, რაც ასევე გონივრულობის თვალსაზრისითაც მიუღებელია. ზემოთ მოყვანილი მაგალითების ანალოგიურად, ვალდებულების „პატიებას“ ჰქონდა ადგილი ასევე ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 14 ივნისის N788 ბრძანების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „კაუკასუს სირიალ კომპანისთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 14,521.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 63.0 ათას ლარამდე (შეუმცირდა 99.6%-ით). 2012 წლის 25 მაისის N684 ბრძანების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა სს „უნივერსალ სერვისთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 11,170.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 5.0 ათას ლარამდე (შეუმცირდა 99.9%-ით). 2012 წლის 25 მაისის N687 ბრძანების საფუძველზე საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „პრემთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 6,412.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 38.2 ათას ლარამდე (შეუმცირდა 99.4%-ით). ასევე, შემოსავლების სამსახურის მიერ ფინანსთა მინისტრის საშუალებით წარდგენილი შუამდგომლობების საფუძველზე გამოცემული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N375 განკარგულებით საგადასახადო შეთანხმება გაფორმდა შპს „მ+მ მილიცერ და მიუნხ ჯეორჯიენთან“, რომელსაც ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება ჯამურად 197.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მას შეუმცირდა 7.0 ათას ლარამდე (შეუმცირდა 96.5%-ით).

2012 და 2013 წლებში გაფორმებული საგადასახადო შეთანხმებების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართში ელექტრონული სახით.

მივლინებები ქვეყნის გარეთ

2012 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ მივლინებებზე შემოსავლების სამსახურის მიერ გახარჯულია 587.0 ათასი ლარი. ხარჯები გაწეულია მთლიანად საკუთარი შემოსავლებიდან. მივლინებებთან დაკავშირებით გამოცემულია 205 ბრძანება, რომელთა საფუძველზეც გაწეულია საკასო ხარჯი. მათ შორის 60 შემთხვევაში წარმოდგენილი იქნა მივლინების საფუძვლები (მიწვევები სხვადასხვა ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან). 145 შემთხვევაში, რომლის შესაბამისი ხარჯი შეადგენს 415.8 ათას ლარს (მთლიანი ხარჯის 70%) მივლინების საფუძვლები წარმოდგენილი ვერ იქნა. 2013 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გახარჯულია 292.5 ათასი ლარი (ასევე მთლიანად საკუთარი შემოსავლებიდან). მივლინებებთან დაკავშირებით გამოცემულია 113 ბრძანება, რომელთა საფუძველზეც გაწეულია საკასო ხარჯი. მათ შორის 46 შემთხვევაში წარმოდგენილი იქნა მივლინების საფუძვლები. 67 შემთხვევაში, რომლის შესაბამისი ხარჯი შეადგენს 175.9 ათას ლარს (60%) მივლინების საფუძვლები წარმოდგენილი ვერ იქნა.

იმ მივლინებების კანონიერების შემოწმებით, რომლებზეც წარმოდგენილი იქნა მივლინების საფუძვლები გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა თანხების ზედმეტად ანაზღაურებას კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ გასაცემ ნორმებთან შედარებით (რომელიც პრაქტიკაში მიღებულია ითვლებოდა და იყენებდა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია, მათ შორის სსიპ-ები, მიუხედავად იმისა პირდაპირ ავალდებულებდა თუ არა ამას ეს ნორმა). აღნიშნული გამოწვეული იყო სხვადასხვა გარემოებით. კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში მიწვევებში დაფიქსირებულია, რომ მიმწვევი მხარე ანაზღაურებდა კვების ხარჯებს. მიუხედავად ამისა მოხსენებით ბარათებში (რომელთა საფუძველზეც გამოიცემოდა ბრძანებები მივლინებებთან დაკავშირებით) ეს დაფიქსირებული არ არის. შედეგად მივლინების სადღეღამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად, ნაცვლად კანონმდებლობით განსაზღვრული³⁸ 30%-ისა.

- რიგ შემთხვევებში ბრძანებებით დაფიქსირებული მივლინების ვადები არ ემთხვევა (რამდენიმე დღით აღემატება) მიწვევებში დაფიქსირებულ უცხოეთში დასასწრებ ღონისძიებების ვადებს.

- ცალკეულ შემთხვევებში თანამდებობის პირებისთვის ანაზღაურებულია სასტუმროს ნომრის ღირებულება ნორმებით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით ისე, რომ წარმოდგენილი არ არის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მაგალითად:

³⁸ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-11 პუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების (დაქირავებულისთვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ) მე-4 პუნქტის მიხედვით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის 2012 წლის 3 იანვრის №04 ბრძანებით შემოსავლების სამსახურის ორი თანამშრომელი 2012 წლის 11-13 იანვარს მივლინებული იქნა ქ. ბუდაპეშტში საგადასახადო ადმინისტრაციების შიდაევროპული ორგანიზაციის (IOTA) ორგანიზებით მოწყობილ სემინარში მონაწილეობის მისაღებად. მიწვევის წერილის შესაბამისად მიმწვევი მხარე უზრუნველყოფდა საცხოვრებლის და კვების ხარჯებს. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოხსენებით ბარათში დაფიქსირებულია მხოლოდ მიმწვევი მხარის მიერ საცხოვრებლის ანაზღაურების პირობა. შედეგად სადღელამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად, ნაცვლად 30%-ისა. ზედმეტად ანაზღაურებულია ორივე თანამშრომელზე ჯამურად 252 ლარი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 28 ივნისის №1069 ბრძანებით შემოსავლების სამსახურის სამი თანამშრომელი მივლინებული იქნა ქ. ოსლოში საგადასახადო ადმინისტრაციების შიდაევროპული ორგანიზაციის (IOTA) ორგანიზებით მოწყობილ რიგით მე-16 გენერალურ ასამბლეაზე. ღონისძიება გაიმართა 2012 წლის 5-6 ივლისს. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოხსენებით ბარათში და ბრძანებაში დაფიქსირებულია მივლინების ვადები (ერთი თანამშრომლისთვის 2-8 ივლისი, ხოლო დანარჩენი ორისთვის 4-7 ივლისი), რომლებიც არ შეესაბამება მიწვევაში დაფიქსირებულ ღონისძიების ვადებს. გარდა ამისა მიმწვევი მხარე უზრუნველყოფდა კვების ხარჯებს, რაც არ არის დაფიქსირებული მოხსენებით ბარათში. შედეგად ზედმეტად ანაზღაურებულია სამივე თანამშრომელზე ჯამურად 922 ლარი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის 2012 წლის 17 თებერვლის №221 ბრძანებით შემოსავლების სამსახურის სამი თანამშრომელი 2012 წლის 4-11 მარტს მივლინებული იქნა მალაიზიაში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის რიგით მე-3 ფორუმზე მონაწილეობის მისაღებად. ერთ-ერთ თანამშრომელს აუნაზღაურდა სასტუმროს ღირებულება ნორმებით განსაზღვრულზე 283 ლარით მეტი ოდენობით. წარმოდგენილი არ არის ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (რასაც გამონაკლისის სახით აღნიშნულ შემთხვევაში ითვალისწინებს ზემოაღნიშნული კანონმდებლობა).

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 1 თებერვლის №201 ბრძანებით სამსახურის ერთი თანამშრომელი მივლინებული იქნა საფრანგეთში. მიწვევის წერილის შესაბამისად მიმწვევი მხარე ანაზღაურებდა კვების ხარჯებს. სადღელამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად, ნაცვლად 30%-ისა. ზედმეტად ანაზღაურებულია 340 ლარი.

ასევე, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 13 მაისის №965 ბრძანებით სამსახურის ერთი თანამშრომელი მივლინებული იქნა ქ. ბრიუსელში. მიწვევის წერილის შესაბამისად მიმწვევი მხარე ანაზღაურებდა კვების ხარჯებს. სადღელამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად, ნაცვლად 30%-ისა. ზედმეტად ანაზღაურებულია 283 ლარი.

იმ მიწვევების შემოწმებით, რომლებიც წარმოდგენილი იქნა, დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული სახის დარღვევებით 2012 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ მივლინებებზე ზედმეტად გაცემულია ჯამურად 8.4 ათასი ლარი. 2013 წლის განმავლობაში კი - 7.6 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში ზედმეტად გაცემულია ჯამურად 16.0 ათასი ლარი (დეტალური ინფორმაცია და გაანგარიშება მოცემულია დანართში ელექტრონული სახით). დანარჩენ ნაწილში, რომელშიც მივლინების საფუძვლები (მიწვევები) ვერ იქნა წარმოდგენილი, ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

ქვეყნის გარეთ მივლინებების დაფინანსებაში არსებული ზემოაღნიშნული ხარვეზების მიზეზი იყო შიდა კონტროლის გარემოს არ არსებობა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები არ იგზავნებოდა საფინანსო სამმართველოში და შესაბამისად ამ სტრუქტურის მიერ ვერ კონტროლდებოდა მიწვევის პირობები. მოხსენებითი ბარათების (რომლებიც ძირითადად იწერებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში) სისწორე არ კონტროლდებოდა არც ბრძანების პროექტის მომზადებლის (ყოფილი ადამიანური რესურსების დეპარტამენტი) მიერ. მიზანშეწონილი იქნება ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები გადაეგზავნოს საფინანსო სამმართველოს, რომელიც სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას მოახდენს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2012 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახურს წარმომადგენლობითი ხარჯების სახით გაწეული აქვს 193.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის 5.8 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია საბიუჯეტო სახსრებიდან, ხოლო 187.8 ათასი ლარი - საკუთარი შემოსავლებიდან. 2013 წლის განმავლობაში წარმომადგენლობითი ხარჯების სახით გაწეულია 171.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მთლიანად საკუთარი შემოსავლებიდან). ხარჯების უდიდესი ნაწილი გაწეულია სარესტორნო და სასტუმრო მომსახურებების შესაძენად.

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა წარმოებდა საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. აღნიშნული დეპარტამენტის მიერ სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი ღონისძიებების მიხედვით სისტემატიზებული დოკუმენტაცია (მოხსენებითი ბარათები, მოწვევები და სხვა), რის შედეგადაც რიგ შემთხვევებში გაურკვეველი დარჩა ღონისძიებების მიზნები, სარესტორნო თუ სასტუმრო მომსახურების გაწევისას სტუმრების და მასპინძლების ვინაობა, რაოდენობა და ა.შ. მიზანშეწონილი იქნება აღნიშნულმა დეპარტამენტმა მოაწესრიგოს ზემოაღნიშნული ხარვეზები.

შრომის ანაზღაურება

შემოსავლების სამსახურის მიერ 2012 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულია სულ 47,322.6 ათასი ლარის ხარჯი (საბიუჯეტო სახსრებიდან 41,000.0 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 6,322.6 ათასი ლარის ხარჯი). მათ შორის პრემიის სახით გაწეულია სულ 17,862.4 ათასი ლარის ხარჯი (საბიუჯეტო სახსრებიდან 11,539.8 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 6,322.6 ათასი ლარის ხარჯი). 2013 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულია სულ 58,690.5 ათასი ლარის ხარჯი (საბიუჯეტო სახსრებიდან 40,551.8 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 18,138.7 ათასი ლარის ხარჯი). მათ შორის პრემიის სახით გაწეულია სულ 24,477.6 ათასი ლარის ხარჯი (საბიუჯეტო სახსრებიდან 6,338.9 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 18,138.7 ათასი ლარის ხარჯი).

შრომის ანაზღაურების სახით ერთ პიროვნებაზე (ხელმძღვანელი პირებიდან) გაცემული წლიური ჯამური თანხების ოდენობა 2012 წლის განმავლობაში მერყეობს 74.6 ათასი

ლარიდან 106.7 ათას ლარამდე, მათ შორის წლიური პრემიების ოდენობა 48.7 ათასი ლარიდან 78.5 ათას ლარამდე (რაც თანამდებობრივი სარგოების 188%-278% შეადგენს). ხოლო 2013 წლის განმავლობაში 87.0 ათასი ლარიდან 98.7 ათას ლარამდე, მათ შორის წლიური პრემიების ოდენობა 59.4 ათასი ლარიდან 68.5 ათას ლარამდე (რაც თანამდებობრივი სარგოების 216%-227%-ს შეადგენს)³⁹.


შესწავლილი იქნა აგრეთვე შემოსავლების სამსახურის თანამდებობის პირების მიერ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნების დაცვის მდგომარეობა. რასთან დაკავშირებითაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის 30 სექტემბრის N73/06 წერილით მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია თანამდებობის პირთა შემოსავლების შესახებ. შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 9 ოქტომბრის N21/72131 წერილით მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს 2013 წლის განმავლობაში გარდა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ხელფასისა, შრომის ანაზღაურების სახით შემოსავალი მიღებული აქვს ასევე სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოდან“ (ს/ნ 211324468) 59.8 ათასი ლარის ოდენობით და შპს „MASURO“-დან (ს/ნ 404869585) 24.0 ათასი ლარის ოდენობით, რითაც დარღვეულია ზემოაღნიშნული კანონის მე-13 მუხლის მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტების მოთხოვნები.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში მოტანილი ფაქტების გამო შემოსავლების სამსახურის საქმიანობა შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.


მთავარი აუდიტორი

გია ნადარეიშვილი

 12.11.2014წ.

უფროსი აუდიტორი

ნესტან ჯანელიძე

 12.11.2014წ.

³⁹ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში ელექტრონული სახით.

უფროსი აუდიტორი

თენგიზ გურასაშვილი

 12.11.2014

აუდიტორი

პაპუნა ხოფერია

 12.11.2014

აუდიტორი

ნანა ვაჩაძე

 12.11.2014